

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



გვანცა ვენჯელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალური საკითხები

შპს „ფერმა-მარკეტის“ მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,  
სპეციალობაში - ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

მერაბ ჯიქია

თბილისი 2019

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეთმობა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალურ საკითხებს. ნაშრომში წარმოდგენილია ის მთავარი საკითხები, რომელთა განხილვაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს. კერძოდ, თეორიულ ნაწილში განხილულია ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი და ასევე განხილულია ინფორმაციის ის წყაროები და მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის შეფასების დროს.

ნაშრომის მეორე ნაწილი კი ეთმობა ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და ანალიზს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით. თეორიული საკითხები პრაქტიკული თვალსაზრისით განხილულია ერთ-ერთი ქართული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული საანალიზო კომპანიის ბალანსის სტრუქტურა და ამასთან, ბალანსი განხილულია დინამიკაში. გარდა ამისა, გამოთვლილია საწარმოს ლიკვიდობის მაჩვენებლები, გაანალიზებულია აღნიშნული მაჩვენებლები დინამიკაში და ამის საფუძველზე შეფასებულია კომპანიის ფინანსური მდგრადობა. აგრეთვე, გამოთვლილია კომპანიის ფულადი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები და განხილულია მათი მნიშვნელობები დინამიკაში კონკრეტული კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ფულადი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილია კომპანიის საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები და მათი დინამიკა, რის საფუძველზეც შეფასებულია და გაანალიზებულია კომპანიის საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა. დასკვნით ნაწილში მოყვანილია ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები, გამოთვლილია მათი მნიშვნელობები კონკრეტული კომპანიისთვის, ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით, რის საფუძველზეც შეფასებულია კომპანიის ფინანსური რისკი და საერთო რისკი.

ამასთან, აღნიშნული მაჩვენებლები განხილულია კომპლექსურად, ურთიერთკავშირში და ნათლად არის წარმოდგენილი მოცემული კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო საკითხები განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

# Topical issues of financial statement analysis

(based on the records of LTD “Farm Market”)

Gvantsa Venjelashvili

## Annotation

The present work is focused on main issues which are very important to be considered when analyzing a financial statement of a company. In particular, the theoretical part examines financial analysis as a tool for making the financial strategy of the company and also reviews the sources of information and methods which are used in the assessment of financial position.

The second part of the work examines the assessment and analysis of the company in both theoretical and practical ways. Theoretical issues are based on the financial statements of one of the Georgian companies.

The paper thoroughly reviews the balancing structure of the analytical company and the balance is reviewed in the dynamics. Besides this, the liquidity indicators of the enterprise are computed, these indicators are analyzed in dynamics and base on this the Financial Stability of the company is assessed. In the paper, here also is estimated the company's financial assets' turnover indicators, their values are discussed in the dynamics based on the statement of cash flows of the specific company. In the paper, here it is showed the turnover indicators of the company's turnover assets and their dynamics, based on which the turnover of the company's turnover means is evaluated and analyzed.

In the conclusion, financial leverage is presented, their values are calculated base on the financial statements for the specific company, which is the basis of the assessment of the financial

risk and general risk of the company. In addition, these indicators are discussed in complexity and the financial state of this company is clearly presented.

It must be noted that analytical issues are discussed based on International Accounting Standards and International Financial Reporting Standards.

# შინაარსი

შესავალი.....	7
<b>I თავი - ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია</b>	
1.1 ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი.....	10
1.2 ფინანსური მდგომარეობის შეფასება: ინფორმაციის წყაროები და ჩატარების მეთოდიკა.....	16
<b>II თავი - ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი</b>	
2.1 ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი.....	19
2.2 საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და ანალიზი.....	37
2.3 საწარმოს ლიკვიდობისა და ფინანსური მდგრადობის შეფასება და ანალიზი.....	46
2.4 ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება და ანალიზი.....	56
2.5 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი.....	67
2.6 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი.....	72
დასკვნა.....	78
გამოყენებული ლიტერატურა.....	82

## შესავალი

საწარმოთა უნარს დააფინანსონ თავიანთი საქმიანობა, დაფარონ დავალიანებები და უზრუნველყონ კომპანიის ზრდა-განვითარება განსაზღვრავს მათი ფინანსური მდგომარეობა. ფინანსური მდგომარეობა არის მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც ასახავს საწარმოს განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების განთავსებასა და გამოყენებას. საწარმოს მენეჯმენტი ყოველთვის დაინტერესებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლითა და ანალიზით, რადგან სწორედ მის საფუძველზე არის შესაძლებელი განისაზღვროს საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მიიღოს გადაწყვეტილებები, დაგეგმოს მიზნები და მოახდინოს მათი კოორდინაცია, განახორციელოს კონტროლი და მონიტორინგი, მოახდინოს პრობლემების წინასწარი დიაგნოსტიკა, განსაზღვროს დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და შეიმუშაოს პერსონალის მოტივაციის ამაღლების გზები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ხორციელდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესწავლის საფუძველზე. იგი ფინანსური ანგარიშგების ყველა კომპონენტს მოიცავს. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი იძლევა საშუალებას შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მოსალოდნელი ფინანსური შედეგები და რისკები, ე.ი კომპანიის მენეჯმენტს აძლევს საშუალებას გააკეთოს პროგნოზი. ასევე, მის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს საწარმოს მომავალი ფინანსური სტაბილურობის შესახებ დასკვნები და შემუშავებული იქნას რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა ყველა საწარმოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რაც მიუთითებს მოცემული თემის აქტუალობაზე.

მოცემულ ნაშრომში დახასიათებულია ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი, ასევე განხილულია ინფორმაციის წყაროები და ჩატარების მეთოდოლოგია. ნაშრომი მოიცავს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებსაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს და ასევე მოცემულია მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კოეფიციენტები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დარგში ფუნქციონირებადი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის,

არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზე და იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ანალიზის მეთოდების განხილვა, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ნაშრომის კვლევის საგანსა და ობიექტს წარმოადგენს შემდეგი საკითხები:

- ბალანსის სტრუქტურა;
- საწარმოს ფინანსური მდგრადობა;
- საწარმოს ლიკვიდობა;
- ფულადი საშუალებების მოძრაობა;
- ოპერაციული და ფინანსური ლევერიჯი.

ნაშრომში თეორიასთან ერთად განხილულია პრაქტიკული მაგალითი. მონაცემები აღებულია ერთ-ერთი ქართული კომპანიის შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური ანგარიშგებიდან, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზეა მომზადებული. კომპანია ძირითადად ორიენტირებულია ქართული ნატურალური აგროპროდუქტების წარმოებასა და რეალიზაციაზე, ამასთან, კომპანიას აქვს კვების ხაზიც. დღესდღეობით, შპს „ფერმა-მარკეტი“ წარმოდგენილია ორი მარკეტითა და ორი კვების ობიექტით. უახლოეს მომავალში გეგმავს გაფართოებას და ობიექტების დამატებას. ეს კომპანია უკვე მეოთხე წელია რაც ოპერირებს ქართულ ბაზარზე და მიუხედავად იმისა, რომ პირველ წელს განიცადა ზარალი, მომდევნო წლები დაიხურა მოგებით, შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ კომპანია წარმატების გზაზე დგას. ამ კომპანიის მაგალითის განხილვა, ვფიქრობ, რომ საინტერესოა, რადგან მან მოახერხა ზარალიანი წლის შემდეგ მოგების მიღება და წარმატების მიღწევა.

ამასთან, თეორიის პრაქტიკაში განხილვა რეალური მონაცემების გამოყენებით და იმის გადამოწმება, როგორ გამოიყენება რეალურად ფორმულები ანალიზის ჩასატარებლად, რა საზღვრებში მერყეობს ესა თუ ის კოეფიციენტი რეალური მონაცემების საფუძველზე, როგორ შეიცვალა კოეფიციენტები და კომპანიის რეალური

მდგომარეობა წლების განმავლობაში, ასახავს თუ არა თეორიულად განსაზღვრული მაჩვენებელი კომპანიის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას განსაკუთრებით საინტერესოა.

# I თავი - ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია

## 1. 1 ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი

საწარმოთა ფინანსური ანალიზის მიზანია ბიზნესის საქმიანობის შედეგების განზოგადებულად - ფულად გამოსახულებაში დახასიათება. ფინანსური ანალიზის წარმატებისთვის აუცილებელია მისი შესაბამისობა წარმოების განვითარების მიზნებთან. მიზნების შესაბამისად ანალიზის მეთოდულადაა პრიორიტეტული ხდება ესა თუ ის მიმართულება. ამასთან, განსაზღვრულ მაჩვენებლებს არჩევენ როგორც საკონტროლო მაჩვენებლებს. შედეგად, შესაძლებელი ხდება დადგინდეს საწარმოს მისია, მისი ბიზნესის არსი და ძირითადი მიზნები.

საწარმოს მიზნობრივი მისია ასახავს მისი განვითარების გრძელვადიან კონცეფციას. იგი ახასიათებს საწარმოს განვითარების კონცეფციას და კონკრეტდება მიზნობრივი ამოცანების სახით.

დასახული მიზნების მიღწევის დონისა და ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია რაოდენობრივი საზომები, რომლებიც უმთავრესი მაჩვენებლებია.

დასახული ამოცანა დაკონკრეტებული უნდა იყოს დასაბუთებული მაჩვენებლების შერჩევით, რომლებიც განმსაზღვრელი ფაქტორებია რენტაბელობის დასახული დონის მისაღწევად.

საწარმოს ფინანსური მიზნების გამომხატველ მაჩვენებლებს მიეკუთვნება მოგების, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის, დამატებული ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებლები.

დასახული მიზნების მისაღწევად და უმთავრეს მაჩვენებელთა აუცილებელი მნიშვნელობის მისაღწევად უნდა შემუშავდეს საწარმოს ფინანსური სტრატეგია. იგი უნდა ეყრდნობოდეს ფინანსური ანალიზის შედეგებს, რადგან მხოლოდ მის საფუძველზეა შესაძლებელი დადგინდეს კომპანიას დასახული მიზნის მისაღწევად

გააჩნია თუ არა საკმარისი ფინანსური რესურსები, რა გზები უნდა იქნას არჩეული და როგორია რისკ-ფაქტორები.

სტრატეგიული ფინანსური ანალიზის ამოცანებია:

- ფინანსური გეგმის ვარიანტების შემუშავება და მისი შედეგების შეფასება;
- ფინანსური გეგმის ყოველი ვარიანტისთვის უმთავრესი მაჩვენებლების შერჩევა;
- უმთავრესი მაჩვენებლების მნიშვნელობის დასაბუთება დროის პერიოდების მიხედვით და დინამიკაში;
- მაჩვენებლების დაბალანსების შეფასება;
- სხვადასხვა რისკ-ფაქტორზე უმთავრეს მაჩვენებელთა მგრძობელობის ანალიზი.

განვითარების ფინანსური სტრატეგიის ანალიზი რეკომენდირებულია ჩატარდეს კომპანიის SWOT-ანალიზის ანუ ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების პოზიციიდან. SWOT-ანალიზის შედეგები შეაქვთ სპეციალურ მატრიცაში, რომლის უჯრებში წარმოდგენილია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან პროექტის შედეგებზე.

გარდა ამისა, მიზნებთან დამოკიდებულების მიხედვით, გამოიყენება სტრატეგიული ანალიზის სხვა მიდგომებიც. GAP-ანალიზი ანუ „გარღვევების ანალიზი“, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის შედარებითი ანალიზი მომავალში სასურველ ვითარებასთან. ხოლო PEST-ანალიზი სტრატეგიული კვლევების კონცენტრირებას ახდენს მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ გარემო პირობებზე, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კომპანიის სტრატეგიის რეალიზაციაზე.

შემუშავებული ფინანსური სტრატეგია აისახება ფინანსური ბიუჯეტის მაჩვენებლებში, რომლებსაც მიეკუთვნება შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტი, ფულადი საშუალებების მოძრაობის ბიუჯეტი და პროგნოზული ბალანსი. ბიუჯეტირების მოთხოვნაა, რომ ბიზნეს-გეგმა შინაგანად არ იყოს წინააღმდეგობრივი. ბიუჯეტის ცალკეული მაჩვენებლები ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

ფინანსური ანალიზის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ბიუჯეტის შესრულების შეფასება და გადახრების გამოვლენა იმ ფაქტორების მიხედვით, რომლებმაც გამოიწვიეს აღნიშნული გადახრები.

მიზნობრივ მაჩვენებელთა შერჩევა დამოკიდებულია ბიზნესის თავისებურებებზე და კომპანიის სასიცოცხლო ციკლის სტადიაზე.

კომპანიის შექმნის სტადიაზე მთავარი ამოცანაა ბაზარზე დამკვიდრება. ამ სტადიაზე დანახარჯები აღემატება შემოსავლებს, ამონაგები უმნიშვნელოა, წმინდა ფულადი ნაკადი კი უარყოფითი. შესაბამისად ძირითად მიზნობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს გაყიდვების მოცულობა და ამასთან, მნიშვნელოვანია კონტროლი ფულადი საშუალებების ხარჯვაზე.

ზრდის სტადიაზე ხდება გაყიდვების მოცულობის გადიდება და ასევე უმჯობესდება კლიენტებთან ურთიერთკავშირი, მომსახურება და ფართოვდება ბიზნესის სტრუქტურა. ამ სტადიაზე ანალიზის ძირითადი ამოცანაა შეარჩიოს გაყიდვების ზრდის ისეთი ტემპი, რომელიც კომპანიის გადახდისუნარიანობას უზრუნველყოფს. საკონტროლო მაჩვენებელია მიმდინარე საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ან თავისუფალი ფულადი ნაკადის სიდიდე.

სტაბილურობის ანუ სიმწიფის სტადიისთვის დამახასიათებელია გაყიდვების მოცულობის ზრდის ტემპის შემცირება და მნიშვნელოვანია შემოსავლების ზრდა უსწრებდეს დანახარჯების ზრდას. მოცემულ სტადიაზე მიმდინარე საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების მიღების სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია საბრუნავი კაპიტალის მართვის პოლიტიკაზე. განვითარების სტრატეგიის შესაბამისად მიზნობრივ მაჩვენებელს შეიძლება წარმოადგენდეს დაბანდებულ კაპიტალზე რენტაბელობის ტრადიციული მაჩვენებლები, ღირებულების შექმნის მაჩვენებლები ან მათი კომბინაციები.

დაცემის ანუ დაბერების სტადია ხასიათდება გაყიდვების მოცულობისა და წმინდა ფულადი ნაკადების შემცირებით, ხელმისაწვდომი რესურსების შეზღუდულობით და საერთოდ - ეფექტიანობის დაცემით. მიზნობრივი ამოცანები დამოკიდებულია ბიზნესის შემდგომი განვითარების ან ლიკვიდაციის სტრატეგიულ გადაწყვეტილებაზე.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის წინაშე მდგარ ფინანსურ მიზნებთან დამოკიდებულების მიხედვით უმთავრესი მაჩვენებლები განსხვავებულია.

გაყიდვების ზრდის მიზნის არსებობის პირობებში გამოიყენება გაყიდვების დინამიკისა და ბაზარზე დაკავებული ხვედრითი წონის მაჩვენებლები. ამასთან ანალიზის პრიორიტეტული მიმართულება იქნება: ფასების, გამოშვებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების მოცულობის ასორტიმენტისა და სტრუქტურის ანალიზი.

თუ საწარმოს ფინანსური მიზნები უკავშირდება დაბანდებული კაპიტალის რენტაბელობის გარკვეული დონის უზრუნველყოფას, მაშინ გამოიყენება შემდეგი მიზნობრივი მაჩვენებლები - ინვესტიციების რენტაბელობა - ROI, გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა - ROCE, ან საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა - ROE. ანალიზის პრიორიტეტული მიმართულებები კი არის შემოსავლებისა და ხარჯების მეთოდის შემუშავება, გაყიდვების რენტაბელობის დონის შეფასება, კაპიტალისა და მისი შემადგენელი ნაწილების ბრუნვალობის ანალიზი.

კომპანიაში, სადაც მესაკუთრეები ორიენტირებულნი არიან მოგების მიღებასა და ამოღებაზე, მიზნობრივ მაჩვენებლად განიხილება წმინდა მოგება და მისი ის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მათ შორის განაწილებას. შესაბამისად, საკონტროლო მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ფულად საშუალებებს, რაც საკმარისია საწარმოში აუცილებელი მიმდინარე ხარჯების გასაწევად და დივიდენდების გასაცემად.

და ბოლოს, ღირებულების გადიდებაზე, როგორც უმთავრეს მიზანზე ორიენტირებული საწარმოსთვის ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან, ხოლო ღირებულების ზრდა გრძელვადიან პერიოდში. კომპანიის ღირებულების ზრდის დასახასიათებლად იყენებენ კაპიტალიზაციის, ეკონომიკური დამატებული ღირებულების მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს მიზნების მიუხედავად, ფინანსური ანალიზის მეთოდიკა გულისხმობს მისი ყველა ძირითადი ბლოკის განხილვას, მიმდინარე გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობისა და ეფექტიანობის ჩათვლით.

ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ინსტრუმენტი კომპანიის მართვის შემდეგი ფუნქციების სარეალიზაციოდ:

- ✓ გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ მიზნების დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ✓ კონტროლი და მონიტორინგი;
- ✓ პრობლემის წინასწარი დიაგნოსტიკა;
- ✓ პერსონალის მოტივაცია.

გადაწყვეტილების მიღების ფუნქციას უზრუნველყოფს მაჩვენებლები, რომლებიც გადაწყვეტილების მისაღებად მიჩნეულია ძირითად კრიტერიუმებად.

მიზნების დაგეგმვისა და კოორდინაციის ფუნქცია მოიცავს მიზნობრივ მაჩვენებელთა შერჩევას და მათი მნიშვნელობის დასაბუთებას დროის კონკრეტული პერიოდების მიხედვით. რის საფუძველზეც ხდება ბიუჯეტის დაბალანსება მასში შემავალი მაჩვენებლების მნიშვნელობების დასაბუთებით.

კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქცია რეალიზდება მაჩვენებლების დაგეგმილი და მიღწეული მნიშვნელობების შედარებით. ამასთან, შედარება შეიძლება განხორციელდეს გასული პერიოდის მონაცემებთან, სხვა კომპანიის მონაცემებთან. შედარებითი ანალიზი იძლევა საშუალებას შეფასდეს დასახული მიზნის რეალურობა და მისი მიღწევის ხარისხის დონე.

პრობლემის წინასწარი დიაგნოსტიკის ფუნქცია - მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის დადგენა იძლევა საშუალებას წინასწარ იქნას დადგენილი არასასურველი ტენდენციები და შემუშავდეს მაკორექტირებელი ღონისძიებები.

პერსონალის მოტივაციის ფუნქციის სარეალიზაციოდ კი გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც აფასებს კონკრეტული მუშაკის მუშაობას.

მაჩვენებელთა მიმართ არსებობს საერთო მოთხოვნები, რაც შეტანილია ანალიზის მეთოდოლოგიაში:

1. ნებისმიერ მაჩვენებელს უნდა გააჩნდეს რაოდენობრივი განზომილება და მისი გაანგარიშების ზუსტი ალგორითმი;

2. მაჩვენებელთა მიზნობრივი მნიშვნელობა უნდა იყოს მიღწევადი და წარმოადგენდეს სტიმულს შემდგომი განვითარებისთვის;

3. კომპანიის სასიცოცხლო ციკლის ცვლილებისას იცვლება ფინანსურ მაჩვენებელთა მნიშვნელობები;

4. ცალკეულ თანამშრომელთა საქმიანობის შესაფასებელი მაჩვენებლები უნდა იყოს მათთვის გასაგები და შეესაბამებოდეს მათი პასუხისმგებლობის სფეროს;

5. მაჩვენებლები ხელს უნდა უწყობდეს პერსონალის მოტივაციას მიზნობრივი ამოცანებიდან გამომდინარე;

6. დინამიკური ანალიზისთვის მაჩვენებლები უნდა იყოს შესაძარისი.

და ბოლოს, რეკომენდირებულია ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად გამოყენებული იქნას არაფინანსური მაჩვენებლებიც. დღეისთვის ყველაზე ცნობილი კონცეფცია არის ნორტონ-კაპლანის დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომლის მიხედვითაც კომპანიის უმთავრეს მაჩვენებელთა სისტემაში ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად ჩართულია არაფინანსური მაჩვენებლებიც, რომლებიც ახასიათებს კლიენტების შემადგენლობას, შიგა ბიზნეს-პროცესების კომპლექსს, ასევე საწარმოო პერსონალის ბლოკს. თუ ფინანსური ბლოკის მაჩვენებლები ასახავს მიმდინარე შედეგებს, არაფინანსური ბლოკის მაჩვენებლები განსაზღვრავს გრძელვადიან პერიოდში კომპანიის განვითარებასა და ეფექტიანობას.

## 1.2 ფინანსური მდგომარეობის შეფასება: ინფორმაციის წყაროები და ჩატარების მეთოდოლოგია

ფინანსურ მდგომარეობაში იგულისხმება საწარმოს უნარი დააფინანსოს თავისი საქმიანობა. იგი ახასიათებს საწარმოს უზრუნველყოფას ფინანსური რესურსებით, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მათი განთავსების მიზანშეწონილობას, გამოყენების ეფექტიანობას, ურთიერთობას სახელმწიფოსთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობას. თუ საწარმოს აქვს უნარი დროულად გადაიხადოს გადასახადები ბიუჯეტში, დააფინანსოს თავისი საქმიანობა წარმოების გაფართოების საფუძველზე ეს მეტყველებს მის კარგ ფინანსურ მდგომარეობაზე. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მის საწარმოო, კომერციულ და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, ე.ი. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება მისი წარმოების შედეგიანობით, კომერციული და ფინანსური მოღვაწეობით. თუ საწარმო წარმატებით ასრულებს საწარმოო და ფინანსურ გეგმებს ეს დადებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და პირიქით, თუ არ სრულდება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, იზრდება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, მცირდება რეალიზაციიდან ამონაგებისა და შესაბამისად მოგების თანხა, ცხადია უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ორ ძირითად მიზანს წარმოადგენს:

1. ინფორმაციის მიღება მოგების გამომუშავების უნარზე;
2. ინფორმაციის ფორმირება ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ანალიზის ძირითადი ამოცანები კი არის:

1. საანალიზო საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება;
2. აქტივების ცალკეული ჯგუფების ლიკვიდობის ანალიზი;
3. აქტივების ფორმირების წყაროების შემადგენლობისა და სტრუქტურის შესწავლა;
4. ვალდებულებების აქტივებით უზრუნველყოფის შესწავლა;

5. აქტივებისა და პასივების ცალკეული ჯგუფების ურთიერთკავშირის ანალიზი;
6. ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარის ანალიზი;
7. კაპიტალის შენარჩუნებისა და ნაზრდის შეფასება.

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა დადებითად აისახება საწარმოო გეგმების შესრულებასა და საწარმოს აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების გეგმაზომიერად მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფისკენ, საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისკენ, საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის რაციონალური პროპორციის დაცვასა და მათი გამოყენების ეფექტიანობისკენ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩასატარებლად ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციასთან ერთად, ასევე საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს საანალიზო საწარმოს შიგა და გარე ფაქტორებს.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაცია და ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი, როგორცაა მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე და დინამიკა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ვალუტის კურსის დინამიკა და ა.შ. მათ შესახებ ინფორმაცია მიიღება მთავრობის პროგრამებისა და პროგნოზებიდან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების გამოკვლევებიდან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმ დარგის მდგომარეობაზე, რომელსაც მიეკუთვნება საანალიზო კომპანია, ამ ინფორმაციას აქვეყნებენ დარგობრივი სამინისტროები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. წინასწარი შეფასება მოიცავს ინფორმაციის საიმედოობის შეფასებას, მის წაკითხვასა და მაჩვენებლების ზოგად ეკონომიკურ ინტერპრეტაციას. ამ ეტაპზე ფასდება არსებული ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი და კეთდება ზოგადი დასკვნები ძირითადი მაჩვენებლების შესახებ.

2. მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს-ანალიზი, რომელიც ეფუძნება ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებასა და მის საფუძველზე მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას. ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება ანალიზის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხერხია, რომელიც ცალკეულ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და მათი ცვლილებების ტენდენციების შეფასების საშუალებას იძლევა. თუმცა მათი გამოყენება მოითხოვს შემდეგი პრობლემების გაგებას:
  - ა. ფინანსური ანგარიშების მაჩვენებელთა საიმედოობა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის საიმედოობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული ანალიზის შედეგები;
  - ბ. ანგარიშების მაჩვენებელთა შესადარისობა. მაჩვენებელთა გამოანგარიშების შედეგები და მათი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია არჩეულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე;
  - გ. ანგარიშების მაჩვენებელთა ურთიერთდამოკიდებულება. ანალიზის პროცესში გამოყენებულმა ფინანსური ანგარიშების მაჩვენებლებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ ერთმანეთზე.
3. სიღრმისეული ანალიზი. იგი ეფუძნება შიგა და გარე ინფორმაციის მოზიდვას. აღნიშნული ანალიზი ტარდება იმ პირთა მიერ, რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ წარმოქმნილი პრობლემების მიზეზები შიგა ინფორმაციის დეტალური გამოკვლევის საფუძველზე;
4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზული ანალიზი ტარდება მისაღები ღონისძიებების გათვალისწინებით და მის საფუძველზე ფასდება ფინანსური მდგრადობა. ამ ეტაპზე ანალიზის ამოცანაა გაირკვეს, როგორც წარსულ მოვლენებსა და ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, ასევე ახლადმიღებულ გადაწყვეტილებებს რა გავლენა შეუძლია მოახდინონ საწარმოს ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების უნარზე.

## II თავი - ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი

### 2.1 ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს ბუღალტრული ბალანსის გაცნობა, რაც ზოგად წარმოადგენს ქმნის საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ეს არის საწარმოს ქონების ორმხრივი ასახვა: ერთის მხრივ ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, მეორე მხრივ - დაფინანსების წყაროების მიხედვით დროის განსაზღვრული მომენტისთვის განზოგადებულად, ფულად ფორმაში. ფინანსური ანგარიშგების ხუთი ელემენტიდან ბალანსში სამია წარმოდგენილი: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ბუღალტრულ ბალანსში ასახული აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ახასიათებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. ბალანსში ასახული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლი ეწოდება.

ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ასახავს აქტივებს (ეკონომიკურ რესურსებს), ხოლო მეორე კი საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ჯამს (ეკონომიკური რესურსების ფორმირების წყაროებს). როგორც ცნობილია, ბალანსის ორივე ნაწილში ორმხრივობის პრინციპის თანახმად ტოლფასი სიდიდეები თავსდება:

აქტივები = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის აუდიტის ფედერაციის მიერ რეკომენდირებული „ბალანსის“ სქემა შეგვიძლია შემდეგი სახით წამოვადგინოთ:

ცხრილი 2.1.1 ბალანსის სქემა.

აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
I. მიმდინარე აქტივები	I. მიმდინარე ვალდებულებები
II. გრძელვადიანი აქტივები	II. გრძელვადიანი ვალდებულებები
	III. საკუთარი კაპიტალი
ბალანსი (I+II)	ბალანსი (I+II+III)

ბუღალტრულ ბალანსში ინფორმაცია მოცემულია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსთვის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შესწავლილ იქნეს საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში. ბუღალტრული ბალანსი საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები, რამდენად არის იგი დამოკიდებული კრედიტორებზე, რა რესურსები გააჩნია მოცემულ მომენტში და როგორია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. აგრეთვე, შეფასდეს საწარმოში შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი, რასაც კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია ეწოდება.

კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ.

აქტივები ბალანსში გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების სახით არის წარმოდგენილი. გრძელვადიან აქტივებში გამოიყოფა მატერიალური, არამატერიალური და გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. მიმდინარე აქტივები კი წარმოდგენილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ფულადი საშუალებების და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების სახით.

საკუთარი კაპიტალი ბალანსში აისახება შემდეგი მუხლების სახით: საწესდებო ან სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება და სარეზერვო კაპიტალი.

ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების სახით. გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება: ბანკის გრძელვადიანი კრედიტი და სხვა გრძელვადიანი სესხი, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებებია: ბანკის მოკლევადიანი სესხი და სხვა მოკლევადიანი სესხი, ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან და მომსახურებიდან, ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ, საგადასახადო და სხვა დარიცხული ვალდებულებები.

წმინდა აქტივები აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობის ტოლია, ანუ იგივეა რაც საკუთარი კაპიტალი.

ბალანსი შეიძლება აგებული იქნეს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატით. ვერტიკალური ფორმის ბალანსში ჯერ განლაგებულია აქტივები შემდეგ კი კაპიტალი და ვალდებულებები, ჰორიზონტალურ ბალანსს კი ორი მხარე აქვს, ერთ მხარეს განლაგებულია აქტივები, ხოლო მეორე მხარეს კაპიტალი და ვალდებულებები. ბალანსის მუხლები დალაგებულია ლიკვიდობის ზრდის ან კლების მიხედვით.

განვიხილოთ, შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსი, რომელიც ერთ-ერთ წარმატებული კომპანიაა ქართულ ბაზარზე.

ცხრილი 2.1.2 შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსი 2015, 2017, 2018 წლების მონაცემები. მონაცემები წარმოდგენილია ლარში.

ბალანსის მუხლები:	31.12.2015	31.12.2017	31.12.2018
<b>აქტივები</b>	<b>18,620,536.16</b>	<b>22,245,290.12</b>	<b>28,198,275.69</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>	<b>4,243,063.07</b>	<b>7,184,171.27</b>	<b>12,089,217.31</b>
ნაღდი ფული	124,961.85	236,226.42	188,404.92
ფული საბანკო ანგარიშზე	309,287.57	630,533.77	1,742,628.65
მოკლევადიანი ინვესტიცია	0.00	0	2,761,803.15
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	282,000.00	282,000.00	282,000.00
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	89,274.80	132,766.40	280,953.98
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივობის მიწოდებიდან	230.79	345,747.39	347,026.60
მოთხოვნები იჯარებიდან	164.52	8,935.71	19,330.64
სხვა მოთხოვნები	0.00	2,622.75	2,769.11
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,321.35	312,305.91	276,116.88
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	405,885.46	176,122.02	243,694.29
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,398,785.44	3,262,017.75	4,912,583.09
სხვა მიმდინარე აქტივები	1,626,151.29	1,794,893.15	1,031,906.00
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>14,377,473.09</b>	<b>15,061,118.85</b>	<b>16,109,058.38</b>
არამატერიალური აქტივები	29,974.87	98,051.85	117,267.16
ძირითადი საშუალებები	14,432,341.84	15,897,515.32	17,917,007.20
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-83,312.15	-921,014.14	-1,896,650.28

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-1,531.47	-13,434.18	-28,565.70
<b>პასივები</b>	<b>18,620,536.16</b>	<b>22,245,290.12</b>	<b>28,198,275.69</b>
<b>კაპიტალი</b>	<b>12,781,224.52</b>	<b>14,918,676.62</b>	<b>3,753,243.28</b>
საწესდებო კაპიტალი	14,000,000.00	14,000,000.00	500,000.00
სარეზერვო კაპიტალი	12,179.19	18,109.19	19,209.19
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	0.00	0	0
მიმდინარე მოგება-ზარალი	-1,230,954.67	900,567.43	3,234,034.09
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>1,982,942.95</b>	<b>4,424,272.42</b>	<b>10,732,582.30</b>
სავაჭრო ვალდებულებები	1,654,428.14	4,183,018.67	4,949,285.51
საგადასახადო ვალდებულებები	-1,060,242.45	-293,808.67	-358,284.27
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,388,757.26	530,892.22	6,136,831.93
მიღებული ავანსები	0.00	4,170.20	4,749.13
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>3,856,368.69</b>	<b>2,902,341.08</b>	<b>13,712,450.11</b>
გრძელვადიანი სესხი	3,856,368.69	2,902,341.08	13,712,450.11
ვალდებულება იჯარაზე	0.00	0	0

როგორც ვხედავთ, შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსი წარმოდგენილია ვერტიკალური ფორმატით ე.ი ჯერ წარმოდგენილია აქტივები, ხოლო შემდეგ პასივები. ამასთან, აქტივები დაყოფილია გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად, ასევე ვალდებულებებიც დაყოფილია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად და დალაგებულია ლიკვიდობის კლების მიხედვით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის მონაცემებით გარკვეული მუხლები ნულის ტოლია, ზოგიერთი მონაცემი კი მიზერული თანხაა. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ პერიოდისთვის კომპანია ახალი დაარსებულია.

აქტივების ანალიზის პროცესში თავდაპირველად შეისწავლება ცვლილებები მთლიანად აქტივების სტრუქტურასა და შემადგენლობაში, ანალიზის შემდეგ ეტაპზე კი დგინდება ცვლილებები გრძელვადიან აქტივებში. გრძელვადიანი აქტივების ანალიზისას შეისწავლება ძირითადი საშუალებების მდგომარეობა, ამასთან, მნიშვნელოვანია არამატერიალური აქტივების მდგომარეობის შესწავლაც, რადგან ეს არის აქტივები, რომლებსაც ფიზიკური ფორმა არ აქვთ, მაგრამ საწარმოსთვის შემოსავალი მოაქვთ.

ანალიზის პროცესში შესწავლილი უნდა იქნეს გრძელვადიან აქტივებში ფინანსური აქტივების (ინვესტიციები) სახით წარმოდგენილი საშუალებები. ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შემოსავლების განაწილების საშუალებით, კაპიტალის ან სხვა სახეობის სარგებლის გასადიდებლად ინვესტიციების ჩამდები საწარმოსათვის. გამოყოფენ მიმდინარე და გრძელვადიან ინვესტიციებს. მიმდინარე ინვესტიციებია ისეთი ინვესტიციები, რომლებიც ადვილად რეალიზდება და არ არის გათვალისწინებული მათი შენარჩუნება ერთ წელზე მეტი ხნით, დანარჩენი ინვესტიციები არის გრძელვადიანი. ინვესტიციების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი მაჩვენებლით:

$$\text{მოგება ინვესტიციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების ღირებულება}}$$

აქტივების ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბალანსის მიმდინარე აქტივების ანუ საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც მისი სტრუქტურის შესწავლით იწყება.

მაგალითად, საქართველოს ბაზარზე ოპერირებადი ერთ-ერთი კომპანიის, პირობითად შპს „X“-ის, რომელიც იჯარით იღებს უძრავ ქონებას, ახორციელებს ამ ფართების შეკეთებას, კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფას და შემდეგ აქირავებს მათ, მიმდინარე აქტივების სტრუქტურა შეგვიძლია ცხრილი 2.1.3-ის სახით წარმოვადგინოთ:

ცხრილი 2.1.3 შპს „X“-ის მიმდინარე აქტივების სტრუქტურა.

მიმდინარე აქტივები	31.12.2015		31.12.2016	
	ლარი	ხვ.წილი (%)	ლარი	ხვ.წილი (%)
ნაღდი ფული სალაროში	3 375	0,19	2 136	0,10
ფული საბანკო ანგარიშებზე	52 024	2,93	23 044	1,07

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 474 661	83,11	1 911 527	88,76
უიმედო ვალები	223 981	12,62	179 581	8,34
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	3 824	0,22	4 235	0,20
საქვეანგარიშო თანხები	3 321	0,19	19 956	0,93
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	6 413	0,36	6 913	0,32
სასაქონლო- მატერიალური მარაგი	6 656	0,38	6 145	0,29
<b>ჯამი</b>	<b>1 774 255</b>	<b>100</b>	<b>2 153 537</b>	<b>100</b>

ბანკის ანგარიშებზე თანხის ზრდა მეტყველებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაზე. თუმცა დიდი ოდენობის ფულადი ნაშთების არსებობა არის საბრუნავი კაპიტალის არასწორად გამოყენების შედეგი. თუმცა სახეზე გვაქვს ფულადი თანხების შემცირება. ასევე მარაგების დიდი ოდენობით არსებობა მიუთითებს წარმოების აქტიურობის დაცემაზე, რომელიც იწვევს საბრუნავი საშუალებების გაყინვას, ხოლო მარაგების დეფიციტი კი აფერხებს წარმოებასა და რეალიზაციას და შესაბამისად უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ანალიზის პროცესში შესწავლილი უნდა იქნეს დაუმთავრებელი წარმოების ზრდის მიზეზები. რაც შეეხება დებიტორულ დავალიანებებს, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ნორმალური და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. ამ უკანასკნელის არსებობა იწვევს ფინანსური რესურსების დანაკლისს.

განვიხილოთ მიმდინარე აქტივების სტრუქტურა შპს „ფერმა-მარკეტის“ მაგალითზე.

ცხრილი 2.1.4 შპს „ფერმა-მარკეტის“ მიმდინარე აქტივების სტრუქტურა 2015, 2017, 2018 წლების მონაცემებით.

მიმდინარე აქტივები	31.12.2015	31.12.2017	31.12.2018
--------------------	------------	------------	------------

	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ხვ/წ (%)
ნაღდი ფული	124,961.85	2.95	236,226.42	3.29	188,404.92	1.56
ფული საბანკო ანგარიშზე	309,287.57	7.29	630,533.77	8.78	1,742,628.65	14.41
მოკლევადიანი ინვესტიცია	0.00	0.00	0.00	0.00	2,761,803.15	22.85
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	282,000.00	6.65	282,000.00	3.93	282,000.00	2.33
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	89,274.80	2.10	132,766.40	1.85	280,953.98	2.32
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივობის მიწოდებიდან	230.79	0.01	345,747.39	4.81	347,026.60	2.87
მოთხოვნები იჯარებიდან	164.52	0.00	8,935.71	0.12	19,330.64	0.16
სხვა მოთხოვნები	0.00	0.00	2,622.75	0.04	2,769.11	0.02
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,321.35	0.15	312,305.91	4.35	276,116.88	2.28
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	405,885.46	9.57	176,122.02	2.45	243,694.29	2.02
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,398,785.44	32.97	3,262,017.75	45.41	4,912,583.09	40.64
სხვა მიმდინარე აქტივები	1,626,151.29	38.32	1,794,893.15	24.98	1,031,906.00	8.54
<b>ჯამი</b>	<b>4,243,063.07</b>	<b>100</b>	<b>7,184,171.27</b>	<b>100</b>	<b>12,136,155.88</b>	<b>100.00</b>

სტრუქტურული ანალიზის სრულყოფისთვის წარმოვადგინოთ მიმდინარე აქტივების გადახრები 2017 და 2018 წელს 2015 წელთან შედარებით.

ცხრილი 2.1.5 შპს „ფერმა-მარკეტის“ მიმდინარე აქტივების გადახრები.

	გადახრა 2015 წლის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს შორის	გადახრა 2017 წლის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს შორის	გადახრა 2018 წლის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს შორის	გადახრა 2017 წელს 2015 წელთან შედარებით ხვ/წ (%)	გადახრა 2018 წელს 2015 წელთან შედარებით ხვ/წ (%)
მიმდინარე აქტივები	<b>4,198,012.70</b>	<b>2,941,108.20</b>	<b>4,905,029.01</b>	-	-
ნაღდი ფული	<b>124,902.85</b>	<b>111,264.57</b>	<b>-47,821.50</b>	0.34	-1.39
ფული საბანკო ანგარიშზე	<b>275,848.36</b>	<b>321,246.20</b>	<b>1,112,094.88</b>	1.49	7.13

მოკლევადიანი ინვესტიცია	0.00	0.00	2,761,803.15	0.00	22.85
მოთვონები გაცემული სესხებიდან	282,000.00	0.00	0.00	-2.72	-4.31
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	89,274.80	43,491.60	148,187.58	-0.26	0.22
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივობის მიწოდებიდან	230.79	345,516.60	1,279.21	4.81	2.87
მოთხოვნები იჯარებიდან	164.52	8,771.19	10,394.93	0.12	0.16
სხვა მოთხოვნები	0.00	2,622.75	146.36	0.04	0.02
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,321.35	305,984.56	-36,189.03	4.20	2.14
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	394,333.30	-229,763.44	67,576.78	-7.11	-7.55
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,398,781.46	1,868,786.93	1,670,352.71	12.44	7.67
სხვა მიმდინარე აქტივები	1,626,151.29	168,803.26	-759,171.32	-13.34	-29.79

როგორც სტრუქტურული ანალიზიდან ჩანს, 2015 წელს მიმდინარე აქტივებში პროცენტულად ყველაზე მაღალი წილი ეჭირა სხვა მიმდინარე აქტივებს, თუმცა მომდევნო წლებში მაქსიმალური წილი უჭირავს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს. დიდი რაოდენობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობა მიუთითებს წარმოების აქტიურობის დაცემაზე, ამიტომ რეკომენდირებულია კომპანიამ განსაზღვროს მარაგის ოპტიმალური რაოდენობა, ან გაზარდოს საწარმოო სიმძლავრეები. ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მოკლევადიან ინვესტიციებს, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიცია და ელოდება სარგებელს, რაც მისი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაზე მიუთითებს. ამასთან, აღსანიშნავია ასევე, რომ 2018 წელს გაზრდილია საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები, თანხების ზრდა ფინანსური მდგომარეობის

გაუმჯობესებაზე მეტყველებს, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ დიდი ოდენობით თანხის არსებობა არის საბრუნავი კაპიტალის არასწორად გამოყენების შედეგი.

2015 წელს მაქსიმალური გადახრა აღინიშნება სხვა მიმდინარე აქტივებსა და სასაქონლო მატერიალურ მარაგებში. აღსანიშნავია, რომ სასაქონლო მატერიალურ მარაგებში მნიშვნელოვან გადახრას ადგილი აქვს სამივე წელს, ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს ფილიალის დამატებით. მნიშვნელოვანი გადახრები აღინიშნება დებიტორულ დავალიანებებში.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისთვის ხშირად გამოიყენება დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი:

$$\text{დებიტ. დავ. ბრუნ. კოეფ.} = \frac{\text{წლიური ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საშ. წლიური დებიტ. დავალიანება}}$$

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ როგორი სიხშირით იღებს საწარმო ანაზღაურებას დებიტორებისგან. რეკომენდირებულია, რომ იგი უდრიდეს 6-ს. ანუ დებიტორული დავალიანება დაიფაროს წარმოქმნიდან საშუალოდ 60 დღეში.

შპს „ფერმა-მარკეტის“ მონაცემების მიხედვით ეს კოეფიციენტი 2015 წელს - 8-ის, 2017 წელს 239-ის, 2018 წელს კი 211-ის ტოლია ამ კოეფიციენტის ასეთი მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიის რეალიზაციაში შემდგომი გადახდის პირობით რეალიზაცია არის მცირე რაოდენობით და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ანაზღაურება ხდება რეალიზაციის დროს. რეკომენდირებულია შემდგომი პირობით რეალიზაციის გაზრდა, რაც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

გავანალიზოთ შპს „ფერმა-მარკეტის“ აქტივების მომგებიანობა. მოგება-ზარალის ანგარიშგების მონაცემები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

ცხრილი 2.1.6 შპს „ფერმა-მარკეტის“ მოგება-ზარალის მონაცემები.

მაჩვენებლები	2017 წ	2018 წ
საოპერაციო შემოსავალი (ლ)	26924977.27	43680238.07
არასაოპერაციო შემოსავალი (ლ)	1176932.41	2042655.91
რ.ს.თ (ლ)	19878349.01	31538301.05
ხელფასის ხარჯი (ლ)	3421769.27	4685158.68
მარკეტინგული ხარჯი (ლ)	906883.94	1051695.81
არასაოპერაციო ხარჯი (ლ)	625249.98	1392644.07
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი (ლ)	1334004.59	2974859.45
მოგება (ლ)	1935652.89	4080234.92

2.1.7 ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები 2017-2018 წლებში და ამასთან ნაჩვენებია მონაცემთა გადახრა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

ცხრილი 2.1.7 შპს „ფერმა-მარკეტის“ საანალიზო მაჩვენებლები.

მაჩვენებელი	2017	2018	გადახრა
მოგება/აქტივებზე	0.0870	0.1447	0.0577
მოგება/შემოსავალი	0.0689	0.0892	0.0204
შემოსავალი/საკ.კაპ	1.8837	12.1822	10.2986
საკ.კაპ/აქტივები	0.6706	0.1331	-0.5375

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა აქტივების მომგებიანობა 2018 წელს 0.0577 პუნქტით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით. გავზომოთ მასზე მოქმედი სამი ფაქტორის გავლენა შემდეგი მწკრივის საფუძველზე.

$$\begin{array}{ccccccc}
 \text{მოგება} & & \text{მოგება} & & \text{შემოსავალი} & & \text{საკ. კაპიტალი} \\
 \text{-----} & = & \text{-----} & * & \text{-----} & * & \text{-----} \\
 \text{აქტივები} & & \text{შემოსავალი} & & \text{საკ. კაპიტალი} & & \text{აქტივები}
 \end{array}$$


აღნიშნული მოდელის ანალიზისთვის გამოვიყენოთ აბსოლუტური სხვაობის ხერხი. ამ ხერხის მიხედვით კონკრეტული ფაქტორის გავლენის გამოსათვლელად საჭიროა ამ ფაქტორის გადახრა გამრავლდეს მის წინ მდგომი მაჩვენებლის ფაქტიურ და შემდგომი მაჩვენებლის საბაზისო მნიშვნელობებზე.

1. მოგების ნორმის ცვლილების გავლენა =  $0.0204 * 1.8837 * 0.6706 = 0.0257$
2. საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ცვლილების გავლენა =  $10.2986 * 0.0892 * 0.6706 = 0.6163$
3. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ცვლილების გავლენა =  $(-0.5375) * 0.0892 * 12.1822 = (-0.5844)$

სამივე ფაქტორის ცვლილების გავლენის ჯამი შეადგენს 0.0577

შედეგები წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით.

დიაგრამა 2.1.1 აქტივების მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილება.



ამრიგად, საანალიზო კომპანიაში მოგების ნორმის ზრდამ წინა წელთან შედარებით გამოიწვია აქტივების საერთო რენტაბელობის ზრდა 0.0257 პუნქტით. რაც იმას გულისხმობს, რომ დანახარჯები უფრო ეფექტიანად არის გამოყენებული.

საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რამაც გამოიწვია აქტივების მომგებიანობის ზრდა 0.6163 პუნქტით. ე.ი შემოსავლების ზრდის ტემპი აღემატება საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპს და საკუთარი სახსრები ეფექტიანადაა გამოყენებული.

ხოლო რაც შეეხება, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტს იგი შემცირდა წინა წელთან შედარებით. რის გამოც აქტივების მომგებიანობა შემცირდა (-0.5844) პუნქტით. ეს არ არის სასურველი მოვლენა, რადგან დაფინანსების წყაროებში საკუთარი სახსრების წილი შემცირდა, ხოლო ნასესხები სახსრების წილი გაიზარდა, რის გამოც კომპანია უფრო მეტად დამოკიდებული გახდა გარეშე პირებზე.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების კავშირით იქნეს წარმოდგენილი.

$$\frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{მოგება}}{\text{შემოსავალი}} * \frac{\text{შემოსავალი}}{\text{ძირ. საშ.}} * \frac{\text{შემოსავალი}}{\text{აქტივები}}$$

მოცემულ მოდელში წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლები: მოგების ნორმა, ძირითადი საშუალების უკუგება და ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი აქტივებში. ასევე 2.1.8 ცხრილის ბოლო სვეტი ასახავს მოცემული მონაცემების გადახრებს 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

ცხრილი 2.1.8 შპს „ფერმა-მარკეტის“ საანალიზო მაჩვენებლები.

მაჩვენებელი	2017	2018	გადახრა
მოგება /აქტივები	0.0870	0.1447	0.0577
მოგება/შემოსავალი	0.0689	0.0892	0.0204
შემოსავალი/ძირითადი საშუალება	1.7677	2.5519	0.7842
ძირითადი საშუალება/აქტივები	0.7146	0.6354	-0.0793


ცხრილში მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე განვიხილოთ აქტივების მომგებიანობა. გავზომოთ თითოეული ფაქტორის ცვლილების გავლენა. ამისთვის ისევ გამოვიყენოთ აბსოლუტური სხვაობის ხერხი.

1. მოგების ნორმის ცვლილების გავლენა =  $0.0204 * 1.7677 * 0.7146 = 0.0257$ ;
2. ძირითადი საშუალების უკუგების ცვლილების გავლენა =  $0.7842 * 0.0892 * 0.7146 = 0.05$ ;
3. აქტივებში ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის ცვლილების გავლენა =  $(-0.0793) * 0.0892 * 2.5519 = (-0.018)$

სამივე ფაქტორის ცვლილების გავლენის ჯამი ტოლი 0.0577-ის.

წარმოვადგინოთ შედეგები დიაგრამის სახით

დიაგრამა 2.1.2 აქტივების მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა



როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგების ნორმის ზრდამ განაპირობა აქტივების რენტაბელობის ზრდა 0.0257 პუნქტით.

ძირითადი საშუალებების უკუგება 2018 წელს გაიზარდა 2017 წელთან შედარებით, რაც დადებითად აისახა აქტივების მომგებიანობაზე და ფონდუკუგების აღნიშნულმა ზრდამ გამოიწვია აქტივების მომგებიანობის ზრდა 0.05 -ით.

რაც შეეხება, აქტივებში ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის ცვლილებას, აღნიშნული მაჩვენებლის 0,0793 პუნქტით შემცირებამ განაპირობა აქტივების საერთო რენტაბელობის შემცირება 0.0180 პუნქტით.

საბოლოო ჯამში, აქტივების მომგებიანობა გაზრდილია 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, რაც კომპანიისთვის დადებითი მოვლენაა და მიუთითებს მის პროგრესზე.

საწარმოს გამოსაყენებელი კაპიტალი იყოფა საკუთარ და მოზიდულ კაპიტალად. ბალანსის მონაცემებით შესაძლებელია განისაზღვროს საწარმოს საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები. იმისათვის, რომ საწარმო იყოს დამოუკიდებელი მას უნდა გააჩნდეს საკმარისი რაოდენობით საკუთარი

კაპიტალი, ამასთან მარტო საკუთარი სახსრებით საქმიანობის წარმართვა კომპანიისთვის ყოველთვის შეუძლებელია და თანაც ხელსაყრელი არ არის.

საწარმოს ვალდებულებები იყოფა: მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. მოკლევადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება: საკუთრივ მოკლევადიანი ვალდებულებები, მოკლევადიანი სესხები, საგადასახადო და დარიცხული ვალდებულებები. გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება: გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, ბალანსის აქტივის სტრუქტურასთან ერთად, აუცილებელია ბალანსის პასივის, ე.ი. საკუთარი და ნასესხები საშუალებების წყაროების სტრუქტურის ანალიზიც.

ანალიზის პროცესში ფასდება სად ხდება საკუთარი და ნასესხები საშუალებების დაბანდება: ძირითად საშუალებებში, სხვა გრძელვადიან აქტივებში, თუ საბრუნავ საშუალებებში.

ბასს-ის თანახმად საკუთარი კაპიტალი ბალანსში დაჯგუფებული უნდა იყოს შემდეგნაირად: სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას.

წარმოვადგინოთ შპს „ფერმა-მარკეტის“ პასივების სტრუქტურა ცხრილის სახით.

ცხრილი 2.1.9 შპს „ფერმა-მარკეტის“ პასივების სტრუქტურა.

ბალანსის მუხლები:	31.12.2015		31.12.2017		31.12.2018	
	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ხვ/წ (%)
კაპიტალი	12,781,224.52	68.64	14,918,676.62	67.06	3,753,243.28	13.31
საწესდებო კაპიტალი	14,000,000.00	75.19	14,000,000.00	62.93	500,000.00	1.77
სარეზერვო კაპიტალი	12,179.19	0.07	18,109.19	0.08	19,209.19	0.07

აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	0	0.00	0	0.00	0	0.00
მიმდინარე მოგება-ზარალი	-1,230,954.67	-6.61	900,567.43	4.05	3,234,034.09	11.47
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>1,982,942.95</b>	<b>10.65</b>	<b>4,424,272.42</b>	<b>19.89</b>	<b>10,732,582.30</b>	<b>38.06</b>
სავაჭრო ვალდებულებები	1,654,428.14	8.88	4,183,018.67	18.80	4,949,285.51	17.55
საგადასახადო ვალდებულებები	-1,060,242.45	-5.69	-293,808.67	-1.32	-358,284.27	-1.27
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,388,757.26	7.46	530,892.22	2.39	6,136,831.93	21.76
მიღებული ავანსები	0	0.00	4,170.20	0.02	4,749.13	0.02
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>3,856,368.69</b>	<b>20.71</b>	<b>2,902,341.08</b>	<b>13.05</b>	<b>13,712,450.11</b>	<b>48.63</b>
გრძელვადიანი სესხი	3,856,368.69	20.71	2,902,341.08	13.05	13,712,450.11	48.63
ვალდებულება იჯარაზე	0	0.00	0	0.00	0	0.00
<b>პასივები</b>	<b>18,620,536.16</b>	<b>100.00</b>	<b>22,245,290.12</b>	<b>100.00</b>	<b>28,198,275.69</b>	<b>100.00</b>

როგორც პასივების სტრუქტურა გვიჩვენებს 2015 და 2017 წლებში კომპანიის პასივებში მაქსიმალური ხვედრითი წილი ეჭირა საწესდებო კაპიტალს თუმცა საწესდებო კაპიტალის ხვედრითი წილი 2018 წელს შემცირებულია და ამავდროულად გაზრდილია გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი, რაც უარყოფითი მოვლენაა, რადგან კომპანიის საწესდებო კაპიტალი მნიშვნელოვნად შემცირდა და კომპანია გახდა სხვებზე დამოკიდებული, რაც განაპირობა კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებამ შემცირებულიყო საწესდებო კაპიტალი და მომხდარიყო მისი გრძელვადიან ვალდებულებად აღიარება. სარეზერვო კაპიტალი უმნიშვნელოდ არის შეცვლილი. სავაჭრო ვალდებულებების ხვედრითი წილი 2018 წელს 2015 წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა 2017 წელთან შედარებით შემცირებულია. სხვა მიმდინარე ვალდებულებების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2018 წელს. გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი 2018 წელს მნიშვნელოვნად არის

გაზრდილი რაც უარყოფითი მოვლენაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაიზარდა სხვებზე დამოკიდებულების ხარისხი.

ბალანსის სტრუქტურა შპს „ფერმა-მარკეტის“ მონაცემებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით.

ცხრილი 2.1.10 შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსის სტრუქტურა.

	2015 წელი (ლარი)	ხვ/წ (%)	2018 წელი (ლარი)	ხვ/წ (%)	გადახრა
მიმდინარე აქტივები	4,243,063.07	22.79	12,089,217.31	42.87	20.09
გრძელვადიანი აქტივები	14,377,473.09	77.21	16,109,058.38	57.13	-20.09
აქტივები	18,620,536.16	100.00	28,198,275.69	100	
კაპიტალი	12,781,224.52	68.64	3,753,243.28	13.31	-55.33
მიმდინარე ვალდებულებები	1,982,942.95	10.65	10,732,582.30	38.06	27.41
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,856,368.69	20.71	13,712,450.11	48.63	27.92
პასივი	18,620,536.16	100.00	28,198,275.69	100.00	

როგორც ბალანსის სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, 2018 წელს 2015 წელთან შედარებით გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი აქტივებში მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილის ზრდის პარალელურად. ამავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა პასივებში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი და გაიზარდა ვალდებულებების ხვედრითი წილი რაც უარყოფით მოვლენად ითვლება.

ანალიზის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს საწარმოს ქონების სწორად განლაგების შემოწმება. ამ მიზნით შემოწმებული უნდა იქნეს თანაფარდობა გრძელვადიანი აქტივებისა მათი ფორმირების წყაროებთან და მიმდინარე აქტივებისა მათი ფორმირების წყაროებთან. გრძელვადიანი აქტივების ფორმირება ძირითადად უნდა ხდებოდეს საკუთარი კაპიტალისა და ნაწილობრივ გრძელვადიანი ვალდებულებების ხარჯზე, ხოლო საკუთარი კაპიტალი გამოყენებული უნდა იქნას საბრუნავი კაპიტალის ფორმირებისთვის.

საწარმოს ქონების სწორად განლაგების შემთხვევაში

1.  $G_a = (C_k - C_{ck}) + G_v$

2.  $M_a = C_{ck} + M_v$

სადაც,  $M_a$  – მიმდინარე აქტივები;  $G_a$  - გრძელვადიანი აქტივები,  $C_k$  - საკუთარი კაპიტალი,  $G_v$  - გრძელვადიანი ვალდებულებები,  $M_v$ - მოკლევადიანი ვალდებულებები,  $C_{ck}$  - საკუთარი საბრუნავი კაპიტალი.

თვალსაჩინოებისთვის აღნიშნული ტოლობების შედეგები წარმოვადგინოთ ცხრილი 2.1.11-ის სახით 2015, 2017 და 2018 წლებისთვის:

ცხრილი 2.1.11 საწარმოს ქონების სწორად განლაგების ამსახველი ტოლობების გამოთვლა შპს „ფერმა-მარკეტის“ მონაცემებით.

2015	$14377473,09 = (12781224,52 - 22600120,12) + 3856368,69$
	$4243063,07 = 2260120,12 + 1982942,95$
2017	$15061118,85 = (14918676,62 - 2759898,85) + 2902341,08$
	$7184171,27 = 2759898,85 + 4424272,42$
2018	$16109058,38 = (3753243,28 - 1356635,01) + 13712450,11$
	$12089217,31 = 1356635,01 + 4949285,51$

ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამივე წლისთვის სრულდება ორივე ტოლობა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიის ქონება სწორად არის განლაგებული.

დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ექვს ძირითად პირობას:

1. ბალანსის ჯამი წლის ბოლოსათვის უნდა იზრდებოდეს წლის დასაწყისთან შედარებით. ხოლო მისი ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ინფლაციის ზრდის ტემპს, მაგრამ არ უნდა უსწრებდეს რეალიზაციის ზრდის ტემპს;
2. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს ძირითადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს;
3. საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი და ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს გრძელვადიანი აქტივების მოცულობასა და ზრდის ტემპს;
4. საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში არ უნდა იყოს 50 %-ზე დაბალი;
5. სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა, ტემპი და წილი დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს;
6. ბალანსში არ არსებობს დაუფარავი ზარალი.

შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსის ანალიზის დასკვნით ეტაპზე კი შევამოწმეთ აკმაყოფილებს თუ არა 2018 წლის ბალანსი დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსის ექვს ძირითად პირობას:

1. აღნიშნული წლის მონაცემებით ბალანსის ჯამი წლის ბოლოსათვის იზრდება წლის დასაწყისთან შედარებით.
2. 2018 წლის ბალანსის მონაცემების მიხედვით მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი 1,68 აღემატება ძირითადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს, რომელიც 2018 წელს შეადგენს 1,41-ს;
3. საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი 2018 წელს შეადგენს 17 465 693,39 ₾-ს და აღემატება გრძელვადიანი აქტივების მოცულობას, რომელიც შეადგენს 16 109 058,38 ₾, თუმცა გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპი (0,98) ჩამორჩება საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს (1,07)
4. საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში 2018 წელს შეადგენს 0,13. აღნიშნული მაჩვენებლის მცირე მნიშვნელობა დაკავშირებულია მენეჯმენტის გადაწყვეტილებასთან საკუთარი კაპიტალის შემცირების თაობაზე, რომელიც აღიარებულ იქნა გრძელვადიან ვალდებულებად;

5. ირღვევა მე-5 პირობა რადგან ბალანსის აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა და ზრდის ტემპი ერთმანეთთან მიახლოებული არ არის.

6. ბალანსში დაუფარავი ზარალი არ არის შესაბამისად მე-6 პირობა დაცულია.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „ფერმა-მარკეტის“ ბალანსი წარმოადგენს დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსს აღნიშნულ წელს.

## 2.2 საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგრადობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და გულისხმობს საწარმოს ფინანსურ დამოუკიდებლობას ე.ი ფინანსების ისეთ მდგომარეობას, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მის გადახდისუნარიანობას.

სხვადასხვა ფაქტორის გავლენაზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მდგრადობის შემდეგი სახეობები:

შიგა მდგრადობა - ეს საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობაა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონირების სტაბილურად მაღალი შედეგი.

საერთო მდგრადობა - იგი მიიღწევა ფულადი ნაკადების მოძრაობით, რომლითაც უზრუნველყოფილია საშუალებების შემოსავლების მუდმივი გადამეტება მათ ხარჯვაზე.

ფინანსური მდგრადობა - განისაზღვრება შემოსავლების გადამეტებით დანახარჯებზე, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების თავისუფალ მანევრირებას და პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის შეუფერხებლობას.

საწარმოს ფინანსური მდგრადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომლებიც შემდეგნაირად ჯგუფდება:

1. წარმოქმნის ადგილის მიხედვით: შიგა და გარე;
2. შედეგის მნიშვნელობის მიხედვით: ძირითადი და მეორეხარისხოვანი;
3. სტრუქტურის მიხედვით: მარტივი და რთული;
4. მოქმედების დროის მიხედვით: მუდმივი და დროებითი.

ანალიზის პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობა შინაგან ფაქტორებს, რომელიც დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობაზე, რომელსაც შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მათზე, კორექტირება შეიტანოს მათ ზემოქმედებაში და მართოს ისინი.

შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება:

- საწარმოს დარგობრივი კუთვნილება;
- გამოსაშვები პროდუქციის სტრუქტურა, მისი ხვედრითი წონა გადახდისუნარიან მოთხოვნაში;
- საწესდებო კაპიტალის სიდიდე;
- დანახარჯების სიდიდე, მათი დინამიკა ფულად შემოსავლებთან შედარებით;
- ქონებისა და ფინანსური რესურსების მდგომარეობა, მათი შემადგენლობა და სტრუქტურა.

ფინანსური სტაბილურობის დახასიათებისთვის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები გამოიყენება.

ფინანსური სტაბილურობის ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

$$1. \text{ საკუთ. და მოზიდ. სახსრების ფარდობის კოეფ.} = \frac{\text{საკ. კაპიტ}}{\text{მოზიდული კაპიტ.}}$$

იგი საწარმოს ზოგად სტრუქტურას გვიჩვენებს. მისი მინიმალური საზღვარი ერთის ტოლია.

$$2. \text{ საკ. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფ.} = \frac{\text{საკ. კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. რეკომენდირებულია იგი აღემატებოდეს 0,5-ს.

$$3. \text{ ფინანსური დამოკიდებულების კოეფ.} = \frac{\text{აქტივების ჯამი}}{\text{საკ.კაპიტალი}}$$

გვიჩვენებს აქტივი რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს, მისი ზრდა გულისხმობს რომ საწარმო ხდება უფრო მეტად სხვებზე დამოკიდებული.

$$4. \text{ მოზიდული კაპ. კონცენტრაციის კოეფ.} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}}$$

ასახავს რა ოდენობის ვალდებულებებია კონცენტრირებული ერთი ლარის აქტივზე.

$$5. \text{ საკ.კაპიტალის მანევრირების კოეფ.} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკ. კაპიტალი}}$$

იგი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში.

$$6. \text{ გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფ.} = \frac{\text{გრძ. ვალდებულებები}}{\text{გრძ. აქტივები}}$$

იგი ახასიათებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარეშე ინვესტორების მიერ.

$$7. \text{ გრძ. ვალდებ.-ის კონცენტრაციის კოეფ.} = \frac{\text{გრძ. ვალდებულებები}}{\text{გრძ. ვალდ + საკ.კაპიტ.}}$$

იგი ასახავს პასივების სტრუქტურას და რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი მით უფრო მეტადაა კომპანია სხვაზე დამოკიდებული.

გრძელვადიანი ვალდ.

8. მოზიდ.კაპიტ.-ის სტრუქტურის კოეფ = -----  
ვალდებულებები

იგი გვიჩვენებს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრით წილს ვალდებულებებში.

მოგება %-ისა და გადასახ. გადახდამდე

9. პროცენტის უზრუნველყოფის კოეფ.= -----  
საპროცენტო თანხა

რაც უფრო მაღალია ერთზე აღნიშნული კოეფიციენტი კომპანიას მით უფრო არ ექნება პრობლემები პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით.

დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

10. მარაგების დაფარვის კოეფ.= -----  
მატერიალური მარაგები

მარაგების დაფარვის „ნორმალურ“ წყაროებს მიეკუთვნება საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულება მოწოდებიდან და მიღებული ავანსები. თუ აღნიშნული კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, იგი რთულ ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

საკ. საბრუნავი სახსრები

11. მატ. მარაგების უზრუნველყოფა საკ. სახსრებით = -----  
მატერიალური მარაგები

იგი გვიჩვენებს მატერიალური მარაგების რა ნაწილი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური სტაბილურობა შევაფასოთ ფარდობითი მაჩვენებლებით 2015, 2017 და 2018 წლებისთვის.

ცხრილი 2.2.1. ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკა.

N	მაჩვენებელი	2015 წ	2017 წ	2018 წ
---	-------------	--------	--------	--------

1	საკუთარი და მოზიდული სახსრების ფარდობის კოეფიციენტი	3.34	5.01	0.43
2	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.69	0.67	0.13
3	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1.46	1.49	7.51
4	მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.31	0.33	0.87
5	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.18	0.18	0.36
6	გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი	0.27	0.19	0.85
7	გრძელვადიანი ვალდებულების კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.23	0.16	0.79
8	მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი	0.66	0.40	0.56
9	მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	2.80	2.13	1.28
10	მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით	1.62	0.85	0.28

მე-2.2.1 ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური სტაბილურობის დამახასიათებლის ფარდობითი მაჩვენებლები დინამიკაში. როგორც ვხედავთ, 2015 და 2017 წელს საკუთარი კაპიტალი მოზიდულ სახსრებს აღემატება, თუმცა 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სტრუქტურა მნიშვნელოვნად იცვლება.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, როგორც ვხედავთ, 2015 და 2017 წელს აღემატება 0,5-ს, თუმცა 2018 წელს იგი ნაკლებია 0,5ზე.

ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018 წელს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვალდებულებების ზრდასთან ერთად იზრდება 1 ლარის აქტივზე კონცენტრირებული ვალდებულებების ოდენობა.

საკუთარი კაპიტალის წილი, რომელიც დაბანდებული იყო საბრუნავ საშუალებებში 2018 წელს გაორმაგდა 2015 წელთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად გრძელვადიანი აქტივების შედარებით მცირე ნაწილი იყო დაფინანსებული გარეშე ინვესტორების მიერ, ხოლო ბოლო წელს აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გრძელვადიანი ვალდებულების სტრუქტურის კოეფიციენტის თავდაპირველი შემცირება გვიჩვენებს რომ კომპანიის სხვაზე დამოკიდებულება შემცირდა, თუმცა ამ კოეფიციენტის მომდევნო წელს ზრდა მიუთითებს კომპანიის სხვაზე დამოკიდებულების ზრდაზე.

გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი ვალდებულებებში 2017 წელს მცირდება ხოლო 2018 წელს კვლავ იზრდება, რასაც აღწერს მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მარაგების დაფარვის კოეფიციენტი მცირდება, აღნიშნული მაჩვენებელი 1-ზე დაბლა არ ჩამოდის, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიას არ აქვს რთული ფინანსური მდგომარეობა და დაფარვის „ნორმალური“ წყაროებით შეუძლია მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა.

მატერიალური მარაგების საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის შემცირება მიუთითებს იმაზე, რომ უფრო ნაკლები მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა აბსოლუტურ მაჩვენებლებშიც დახასიათდეს. გამოყოფენ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ოთხ ტიპს:

1. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, რომლის დროსაც სრულდება უტოლობა:

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები

2. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, სრულდება შემდეგი უტოლობა:

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგის ფორმირების „ნორმალური“ წყაროები

3. არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა, როცა:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

4. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა, როცა მესამე ტიპის უტოლობასთან ერთად სახეზეა გადაუხდელი ვალდებულებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.


შპს „ფერმა-მარკეტისთვის“ წარმოვადგინოთ ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები: მატერიალური მარაგები, საკუთარი საბრუნავი სახსრები და დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები და შევასოთ მისი ფინანსური სტაბილურობა აბსოლუტურ მაჩვენებლებში.

ცხრილი 2.2.2 შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები დინამიკაში.

მაჩვენებლები	2015წ	2017წ	2018წ
მატერიალური მარაგები (□)	1398785.44	3262017.75	4912641.34
საკუთარი საბრუნავი სახსრები (□)	2260120.12	2759898.85	1356635.01
დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები (□)	3914548.26	6947087.72	6310669.65

თვალსაჩინოებისთვის შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით.

დიაგრამა 2.2.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები დინამიკაში



როგორც 2.2.2 ცხრილი გვიჩვენებს, 2015 წელს კომპანიას გააჩნდა აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, რადგან მატერიალური მარაგები 1 398 785,44 ლ ნაკლები იყო საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 2 260 120,12 ლ, ხოლო 2017 წელს ადგილი ჰქონდა ნორმალურ ფინანსურ სტაბილურობას, რადგან მატერიალური მარაგები 3 262 017,75 ლ მეტი იყო საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 2 759 898,85 ლ, მაგრამ ნაკლები იყო მარაგების ფორმირების „ნორმალურ“ წყაროებზე 6 947 087,72 ლ, რაც შეეხება 2018 წელს, კომპანიას ასევე ჰქონდა ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, რადგან ამ შემთხვევაშიც მატერიალური მარაგები 4 912 641,34 ლ მეტი იყო საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 1 356 635,01 ლ, მაგრამ ამავდროულად ნაკლები იყო მარაგის ფორმირების „ნორმალურ“ წყაროებზე 6 310 669,65 ლ.

ამასთან, მნიშვნელოვანია შევეხოთ ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსს, რომელიც შემუშავებულია პროფესორ ედუარდ ალთმანის მიერ. მან შეისწავლა იმ სამრეწველო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, რომლებიც 1946-1965 წლებში

გაკოტრდნენ. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მან ააგო კრედიტუნარიანობის ინდექსის ფორმულა (z), რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Z = 3,3 k_1 + 1,0 k_2 + 0,6 k_3 + 1,4 k_4 + 1,2 k_5, \text{ სადაც:}$$

$$K1 = \frac{\text{მოგება \% -ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{მთელი აქტივები}};$$

$$K2 = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{მთელი აქტივები}};$$

$$K3 = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}};$$

$$K4 = \frac{\text{დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება}}{\text{მთელი აქტივები}};$$

$$K5 = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{მთელი აქტივები}};$$

თუ ინდექსი 2,675-ზე დაბალი აღმოჩნდა საწარმოს 2-3 წლის განმავლობაში გაკოტრება ელოდება სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე. ხოლო თუ  $z > 2.675$ , მაშინ უახლოეს მომავალში საწარმოს საფრთხე არ ემუქრება.

გამოვთვალოთ ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსი შპს „ფერმა-მარკეტისთვის“ 2018 წლის მონაცემებით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე 4080234,92 ₾ -ის ტოლია, ხოლო დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 3234034,09 ₾-ის ტოლია, ამასთან წლიურმა ამონაგებმა რეალიზაციიდან შეადგინა 43,680,238.07 ₾.

$$Z = 3.3 * 0.145 + 1 * 1.549 + 0.6 * 0.153 + 1.4 * 0.115 + 1.2 * 0.048 = 3,738$$

ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშება შპს „ფერმა-მარკეტის“ მონაცემებით გვიჩვენებს, რომ კომპანიას არ ემუქრება გაკოტრება უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში.

## 2.3 საწარმოს ლიკვიდობისა და ფინანსური მდგრადობის შეფასება და ანალიზი

კომპანიის გადახდისუნარიანობას ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს. ლიკვიდურია აქტივები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შესაძლოა იქცეს გაცვლის საშუალებად. მათ მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები. ლიკვიდურ აქტივებს საბრუნავი საშუალებებიც ეწოდება, რადგან მათში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება.

საწარმოს ლიკვიდურობა ნიშნავს, რომ მას გააჩნია საჭირო თანხები იმ ვალდებულების დროულად დასაფარად, რომლებიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგადაა წარმოქმნილი.

საწარმო ლიკვიდურია თუ მისი მიმდინარე აქტივები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს. მეწარმე დაინტერესებულია დროულად დაფაროს დავალიანებები, რათა არ დასჭირდეს ჯარიმების გადახდა. თუმცა, გარდა მეწარმისა საწარმოს გადახდისუნარიანობის დონე აინტერესებს პარტნიორებს, ინვესტორებს, საკრედიტო დაწესებულებებს, რათა შეაფასონ საწარმოსთან პარტნიორობის ხარისხი.

საწარმოს გადახდისუნარიანობა სხვადასხვა მაჩვენებლით ხასიათდება. როგორცაა: გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

გადახდისუნარიანობის ბალანსი დგება ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე და გვიჩვენებს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურას. იგი ასახავს ფარავს თუ არა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს, თუ

მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებზე, მაშინ ადგილი აქვს კაპიტალის დეფიციტს. მაგალითად, ზემოთ აღნიშნული “X” კომპანიის გადახდისუნარიანობის ბალანსს აქვს შემდეგი სახე (ცხრილი 2.3.1):

ცხრილი 2.3.1 შპს “X”-ის გადახდისუნარიანობის ბალანსი.

მიმდინარე აქტივები	ლარი	ხვ/წ %	მიმდინარე ვალდებულება	ლარი	ხვ/წ %
ნაღდი ფული სალაროში	2 136	0,10	მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	181 502	11,32
ფული საბანკო ანგარიშებზე	23 044	1,07	მიღებული ავანსები	405 253	25,28
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 911 527	88,76	გადასახდელი ხელფასები	(2 441)	(0,15)
უიმედო ვალები	179 581	8,34	ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	992 047	61,88
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	4 235	0,20	საგადასახადო ვალდებულებები	26 814	1,67
საქვეანგარიშო თანხები	19 956	0,93			
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	6 913	0,32			
სასაქონლო- მატერიალური მარაგი	6 145	0,29			
<b>ჯამი</b>	<b>2 153 537</b>	<b>100</b>	<b>ჯამი</b>	<b>1 603 175</b>	<b>100</b>

შპს „ფერმა-მარკეტის“ გადახდისუნარიანობის ბალანსი წარმოვადგინოთ 2015, 2017 და 2018 წლებისთვის.

ცხრილი 2.3.2 შპს „ფერმა-მარკეტის“ გადახდისუნარიანობის ბალანსი 2015 წლის.

მიმდინარე აქტივები	ლარი	ხვ/წ (%)	მიმდინარე ვალდებულებები	ლარი	ხვ/წ (%)
ნაღდი ფული	124,961.85	2.95	სავაჭრო ვალდებულებები	1,654,428.14	54.37
ფული საბანკო ანგარიშზე	309,287.57	7.29	საგადასახადო ვალდებულებები	-1,060,242.45	-
მოკლევადიანი ინვესტიცია	0.00	0.00	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,388,757.26	45.63
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	282,000.00	6.65	მიღებული ავანსები	0.00	0
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	89,274.80	2.10			
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივობის მიწოდებიდან	230.79	0.01			
მოთხოვნები იჯარებიდან	164.52	0.00			
სხვა მოთხოვნები	0.00	0.00			
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,321.35	0.15			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	405,885.46	9.57			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,398,781.46	32.97			
სხვა მიმდინარე აქტივები	1,626,151.29	38.32			
<b>ჯამი</b>	<b>4,243,059.09</b>	<b>100.00</b>	<b>ჯამი</b>	<b>3,043,185.40</b>	<b>100.00</b>

ცხრილი 2.3.3 შპს „ფერმა-მარკეტის“ გადახდისურანიანობის ბალანსი 2017 წლის.

მიმდინარე აქტივები	ლარი	ხვ/წ (%)	მიმდინარე ვალდებულებები	ლარი	ხვ/წ (%)
ნაღდი ფული	236,226.42	3.28	სავაჭრო ვალდებულებები	4,187,059.93	95.16
ფული საბანკო ანგარიშზე	630,533.77	8.76	საგადასახადო ვალდებულებები	-321,979.38	-7.32
მოკლევადიანი ინვესტიცია	0.00	0.00	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	530,892.22	12.07
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	282,000.00	3.92	მიღებული ავანსები	4,170.20	0.09
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	132,766.40	1.85			
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივობის მიწოდებიდან	349,788.64	4.86			
მოთხოვნები იჯარებიდან	8,935.71	0.12			
სხვა მოთხოვნები	2,622.75	0.04			
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	312,305.91	4.34			

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	176,122.02	2.45			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,267,568.39	45.42			
სხვა მიმდინარე აქტივები	1,794,954.55	24.95			
ჯამი	7,193,824.56	100.00	ჯამი	4,400,142.97	100.00

ცხრილი 2.3.4 შპს „ფერმა-მარკეტის“ გადახდისურანიანობის ბალანსი 2018 წლის.

მიმდინარე აქტივები	ლარი	ხვ/წ (%)	მიმდინარე ვალდებულებები	ლარი	ხვ/წ (%)
ნაღდი ფული	191,633.02	1.58	სავაჭრო ვალდებულებები	4,961,499.36	44.69
ფული საბანკო ანგარიშზე	1,742,626.15	14.36	საგადასახადო ვალდებულებები	-516,094.78	-
მოკლევადიანი ინვესტიცია	2,761,803.15	22.76	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6,135,831.93	55.27
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	282,000.00	2.32	მიღებული ავანსები	5,016.63	0.05
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	281,221.48	2.32			
მოთხოვნები მარკეტინგული აქტივების მიწოდებიდან	361,252.32	2.98			
მოთხოვნები იჯარებიდან	19,330.64	0.16			
სხვა მოთხოვნები	2,769.11	0.02			
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	276,116.88	2.28			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	243,698.80	2.01			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,937,921.10	40.69			
სხვა მიმდინარე აქტივები	1,035,783.23	8.53			
ჯამი	12,136,155.88	100.00	ჯამი	11,102,347.92	100.00

როგორც გადახდისურანიანობის ბალანსის მონაცემებიდან ვხედავთ, სამივე წლისთვის მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს, რაც დადებითი მოვლენაა კომპანიისთვის. ე.ი კომპანიას სამივე წლის მონაცემებით მიმდინარე აქტივებით შეეძლო მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა.

განვიხილოთ ლიკვიდურობის სახეები. განასხვავებენ შემდეგი სახის ლიკვიდობას:

1. მიმდინარე ლიკვიდურობა - დებიტორული დავალიანებებისა და ფულადი საშუალებების შესაბამისობა;
2. გაანგარიშებითი ლიკვიდურობა - საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების პირობებში აქტივისა და პასივის ქვეგანაყოფების შესაბამისობას მათი ბრუნვადობის ვადების მიხედვით;
3. სწრაფი ლიკვიდურობა - ვალდებულებათა დაფარვის უნარი საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ფულად საშუალებად გადაქცევის სისწრაფის მიხედვით საწარმოს აქტივებს აჯგუფებენ შემდეგნაირად:

აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივები A1:

- ფულადი საშუალებების ყველა მუხლის ჯამი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სწრაფი ანგარიშსწორებისთვის;
- მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები.

სწრაფად რეალიზებადი აქტივები A2:

- დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;
- სხვა დებიტორული აქტივები.

ნელა რეალიზებადი აქტივები A3:

- მარაგი, გარდა „წინასწარ გაწეული ხარჯებისა“;
- დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის შემდეგ;
- შეძენილი ფასეულობების დამატებული ღირებულების გადასახადი.

ძნელად რეალიზებადი აქტივები A4:

- ძირითადი საშუალებების ქვეგანაყოფის ყველა მუხლი. ამ აქტივების გამოყენება სამეურნეო საქმიანობაში გათვალისწინებულია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ვალდებულებებიც ასევე იყოფა 4 ჯგუფად და დალაგებულია მათი ანაზღაურების სისწრაფის ხარისხის მიხედვით:

ყველაზე სწრაფად დასაფარი ვალდებულებები P1:

- კრედიტორული დავალიანებები;
- დამფუძნებელთა დავალიანებები შემოსავლების ანაზღაურებით;
- სხვა მოკლევადიანი ვალდებულება

მოკლევადიანი ვალდებულებები P2:

- მოკლევადიანი კრედიტი და სესხები;
- სხვა სესხი, რომელთა დაფარვა გათვალისწინებულია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

გრძელვადიანი ვალდებულებები P3:

- გრძელვადიანი კრედიტი და სესხები.

მყარი პასივები P4:

- საკუთარი კაპიტალის მუხლები.

ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ დაცულია აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებს შორის თანაფარდობის შემდეგი პირობები:

$$A1 \geq P1; \quad A2 \geq P2; \quad A3 \geq P3; \quad A4 \geq P4;$$

თუ სრულდება პირველი სამი უტოლობა, მაშინ მეოთხეც აუცილებლად შესრულდება და ამასთან, თუ დარღვეულია პირველი სამი უტოლობიდან ერთი მაინც ე.ი დარღვეულია ბალანსის ლიკვიდობაც. საშუალებების ზედმეტობა აქტივების ერთ-ერთ ჯგუფში კომპენსაციას არ ახდენს სხვა ჯგუფში მათ უკმარისობაზე, რამდენადაც კომპენსაცია შეიძლება იყოს მხოლოდ ღირებულებითი.

შპს „ფერმა-მარკეტის“ შემთხვევაში დარღვეულია აღნიშნული ტოლობები, რაც მიუთითებს კომპანიის პრობლემებზე ლიკვიდურობასთან დაკავშირებით.

საწარმოს გადახდისუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ ფარდობით მაჩვენებლებს, რომლებსაც ლიკვიდურობის კოეფიციენტებს უწოდებენ. ისინი გვიჩვენებენ რა სიჩქარით ახდენს კომპანია ბიზნესში ავანსირებული ფულადი საშუალებების უკან დაბრუნებას და ვალდებულების დაფარვას, ამიტომ მათ დაფარვის კოეფიციენტებსაც უწოდებენ.

ფულადი თანხები

$$1. \text{ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{-----}}{\text{მიმდინარე ვალდ.}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს არსებული ფულადი თანხებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. საუკეთესო ვარიანტში ეს მაჩვენებელი 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

(ფულადი თანხები + მოკლ. მოთხ.)

$$2. \text{ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფ} = \frac{\text{-----}}{\text{მიმდ. ვალდ.}}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს არსებული და მისაღები ფულადი თანხები მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს. ეს კოეფიციენტი ერთსა და ორს შორის უნდა იყოს. მინიმალური ფარდობაა 1:1.

მიმდ. აქტივები

$$3. \text{ საერთო ლიკვიდურობის კოეფ} = \frac{\text{-----}}{\text{მიმდ. ვალდებულებები}}$$

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს არსებული და მთლიანად მისაღები ფულით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილი იფარება. ეს კოეფიციენტი ორზე ნაკლები და სამზე მეტი არ უნდა იყოს.


შპს „ფერმა-მარკეტის“ ლიკვიდურობის შესაფასებლად დავიანგარიშეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები დინამიკაში.

ცხრილი 2.3.5 შპს „ფერმა-მარკეტის“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები დინამიკაში.

მაჩვენებელი	2015	2017	2018
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.22	0.20	0.18
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.41	0.44	0.29
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.14	1.62	1.13

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოვადგინოთ შპს „ფერმა-მარკეტის“ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ცვლილება დინამიკაში.

დიაგრამა 2.3.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები დინამიკაში.



როგორც ვხედავთ, სამივე წლის მონაცემებით კომპანიის ლიკვიდურობა საფრთხეშია, აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.2-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და შპს „ფერმა მარკეტისთვის“ კი იგი 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი ზღვარზეა და 2018 წელს კი მცირდება და 0.2-ზე ნაკლებია. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე 2018 წელს კი უფრო მეტად იკლებს ვიდრე 2017 წელს, ხოლო საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017 და 2018 წლებისთვის დასაშვებ ზღვარზე დაბლაა და ტენდენციურად იკლებს. საბოლოო ჯამში, ლიკვიდურობის კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპანიის ლიკვიდურობა საფრთხის ქვეშაა და საჭიროებს ღონისძიებების გატარებას.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოყვანილი მაჩვენებლებით არ შეიძლება უშეცდომოდ შევაფასოთ საწარმოს ფინანსური მდგრალობა, რადგან პროცესი რთულია და მისი სრული დახასიათება 2-3 მაჩვენებლით არ შეიძლება. ამიტომ საწარმოს ლიკვიდობის შედარებით სრულყოფილი შეფასებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფაქტორული მოდელი:

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოგება}} * \frac{\text{მოგება}}{\text{მიმდ. ვალდ.}} = X1 * X2$$

X1 – მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების თუ რა ღირებულება მოდის 1 ლარის მოგებაზე;

X2 - მაჩვენებელი, რომელიც ადასტურებს საწარმოს უნარს დაფაროს ვალების თავისი საქმიანობის შედეგებით.

დავახასიათოთ შპს „ფერმა მარკეტის“ ლიკვიდურობა და გამოვიყენოთ აღნიშნული ფაქტორული მოდელი. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ მოგება 2017 წელს შეადგენდა 1935652,89 ლარს, ხოლო 2018 წელს კი 4080234,92 ლარს.

მაჩვენებლები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

ცხრილი 2.3.6 შპს ფერმა-მარკეტის ლიკვიდურობის საანალიზო მაჩვენებლები.

მაჩვენებელი	2017	2018	გადახრა
მიმდ.აქტ/მიმდ.ვალდ	1.62	1.13	-0.50
მიმდ.აქტ/მოგება	3.71	2.96	-0.75
მოგება/მიმდ.ვალდ	0.44	0.38	-0.06

$$\text{პირველი ფაქტორის გავლენა} = (-0.75) * 0,44 = (-0,33)$$

ე.ი 1 ლარის მოგებაზე აქტივების ღირებულების შემცირებამ გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირება 0,33-ით.

$$\text{მეორე ფაქტორის გავლენა} = (-0,06) * 2,96 = (-0,17)$$

ამგვარად, საწარმოს უნარი დაფაროს თავისი ვალები საქმიანობის შედეგით შემცირდა, რამაც გამოიწვია ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირება 0,17-ით. ე.ი ორივე ფაქტორის ცვლილების შედეგად მივიღეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირება 0,17-ით. ე.ი ორივე ფაქტორის ჯამური გავლენა ემთხვევა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გადახრას 0,5-ს.

## 2.4. ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლებელია საწარმომ საანგარიშგებო პერიოდი მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავროს, მაგრამ ფულადი საშუალებები ნაკლები ჰქონდეს. ფული სამეურნეო საქმიანობაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის

საშუალებით ხდება რესურსების შექმნა, ხელფასების გაცემა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვ. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულად ნაკადებს. ინფორმაცია საწარმოთა ფულადი ნაკადების შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ექნებათ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა და გამოყენების მოთხოვნილება. მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავებისათვის, აგრეთვე რამდენად დროული და საიმედოა მათი გამომუშავება.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროს და გამოყენებას მთელი წლის პერიოდისათვის. იგი მზადდება საკასო პრინციპით ანუ ასახავს რეალურ ფულად ნაკადებს.

ფულად საშუალებებს მიეკუთვნება ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ფულადი სახსრების ეკვივალენტებია მოკლევადიანი (სამ თვემდე დაფარვის ვადის მქონე) ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულად ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს ოვერდრაფტის უფლება. გამოყენებული ოვერდრაფტი კი ფულადი თანხებიდან გამოიქვითება. ფულადი სახსრების ეკვივალენტები გამიზნულია მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ივესტიციებისთვის ან სხვა მიზნით.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, საწარმომ ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამ მოთხოვნის

შესაბამისად, ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი განაყოფისგან შედგება და ყოველი განაყოფის შემდეგ გამოთვლილია „წმინდა ფულადი ნაკადი“, რომელიც უდრის სხვაობას შემოსულ და გასულ თანხებს შორის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების განაყოფებია: ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან და ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან. ფულადი ნაკადები არ მოიცავს სახსრების გადასვლას ფულადი სახსრებიდან მათ ეკვივალენტებში და პირიქით, რადგან ისინი უფრო მეტად საწარმოს ფულადი სახრების მართვის შემადგენელი ნაწილია, ვიდრე საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობისა.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს მთავარი მაპროფილებელი საქმიანობა, რომელიც მისი ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი, ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები და მოაქვს მთავარი შემოსავლები. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები კი საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას ემსახურება. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადების ცალკეული ელემენტის შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად, სასარგებლოა საინფორმაციო საქმიანობიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების განაყოფში მოცემულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. როგორცაა, მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე, საწარმოს პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული თანხები, სამეწარმეო ან სავაჭრო მიზნით დადებული კონტრაქტებთან დაკავშირებული მიღებული ან გაცემული ფულადი თანხები.

ამავე განაყოფში მოცემულია გადახდილი პროცენტები, მოგების გადასახდი და დივიდენდი, რადგან ითვლება, რომ საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხებით უნდა იფარებოდეს.

გარდა ამისა, ის ფულადი ხარჯები, რომელიც არასაწარმოო მიზნით დაიხარჯა, როგორცაა: რეკლამის, კომუნიკაციის, საკანცელარიო, ქირის, დაზღვევის, საბანკო

მომსახურების, საკონსულტაციო, საგარანტიო მომსახურების, საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინების და სხვა მსგავსი ფულადი ხარჯები, აქვე მიეთითება, როგორც „გაწეული არასაწარმოო ფულადი ხარჯები“.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან, აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხებისა და სხვა ვალდებულებების დასაფარავად, საწარმოს სიმძლავრეების შესანარჩუნებლად, დივიდენდების გასაცემად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, გარე წყაროებით სახსრების მოზიდვის გარეშე.

სქემა 2.4.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები

შ ე მ ო დ ი ნ ე ბ ა	გ ა დ ი ნ ე ბ ა
საქონლისა და მომსახურებისათვის მიღებული ფულადი სახსრები	საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები
როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები
სადაზღვევო თანხების სახით მიღებული ფულადი სახსრები	სადაზღვევო თანხების გადასახდელად გასული ფულადი სახსრები
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების დაბრუნებით	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფარავად გასული ფულადი სახსრები
კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრები	კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით გადახდილი ფულადი სახსრები

მიღებული პროცენტები და დივიდენდები	გადახდილი პროცენტები და დივიდენდები
------------------------------------	-------------------------------------

მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისთვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი ფულადი ნაკადები და შემოსავლები. საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები მოიცავს: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შექმნასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ფულად სახსრებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს, სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შექმნასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ფულად სახსრებს, სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემულ თანხებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

სქემა 2.4.2 საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები

შ ე მ ო დ ი ნ ე ბ ა	გ ა დ ი ნ ე ბ ა
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები
სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები	სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები
გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარავად მიღებული ფულადი სახსრები	სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ერთ-ერთი ადგილი უჭირავს ფულად ნაკადებს საფინანსო საქმიანობიდან. მისი ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან იგი სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიის შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ. საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები. იგი მოიცავს: აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებულ ფულად სახსრებს, მესაკუთრეთათვის აქციების შექმნის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილ ფულად სახსრებს. სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოსა და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები და მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

სქემა 2.4.3 საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები

შ ე მ ო დ ი ნ ე ბ ა	გ ა დ ი ნ ე ბ ა
სავალო ფასიანი ქაღალდების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლე და გრძელვადიანი სესხების გამოშვებით მიღებული ფულადი სახსრები	სესხების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები
	ფინანსური იჯარის ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები

უცხოური ვალუტით შესრულებულ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარდგენილი უნდა იქნეს საწარმოს სამუშაო ვალუტით. გადასაანგარიშებლად სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის გასაცვლელი სავალუტო კურსი უნდა იქნეს გამოყენებული ფულადი ნაკადების დღისთვის.

უცხოური შვილობილი საწარმოს ფულადი ნაკადები გადაყვანილი უნდა იქნეს სამუშაო ვალუტაში და გადასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნეს სამუშაო ვალუტასა და

უცხოურ ვალუტას შორის გასაცვლელი სავალუტო კურსი, ფულადი ნაკადების დღისთვის.

არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა გასაცვლელი სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად, არ ითვლება ფულად ნაკადებად. ამასთან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება უკვე შემოსული ან შემოსასვლელი უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, რათა შესაბამისობაში მოვიდეს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები. ეს თანხები აისახება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისაგან განცალკევებულად და შეიცავს საკურსო სხვაობას, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, იმ შემთხვევებში, როდესაც ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში ნაჩვენებია გასაცვლელი სავალუტო კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. აღრიცხვის სტანდარტებით საბაზისო მეთოდია - პირდაპირი მეთოდი, რადგან მას მეტი ანალიზური მნიშვნელობა აქვს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით, მზადდება მთავარი წიგნის ფულადი თანხების აღმრიცხველი ანგარიშებიდან. არაპირდაპირი მეთოდი კი პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან არასრულყოფილია ანალიზისთვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ობიექტური მიზეზის გამო მთავარ ბუღალტერს არ გააჩნია სრული ბუღალტრული ჩანაწერები.

პირდაპირი მეთოდი ეყრდნობა ფულადი საშუალებების ნაკადის შემოდინების და გადინების გაანგარიშებას. ე.ი. ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს ამონაგები.

არაპირდაპირი მეთოდი ეყრდნობა ოპერაციების იდენტიფიკაციასა და აღრიცხვას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი საშუალებების მოძრაობასა და წმინდა მოგების თანმიმდევრობით კორექტირებასთან. ე.ი. გაანგარიშების ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს მოგება.

პირდაპირი მეთოდით ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი დეტალურად ხსნის ფულადი საშუალებების მოძრაობას ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში. საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნები ანგარიშების მიხედვით საშუალებათა საკმარისობის შესახებ მიმდინარე ვალდებულებათა დასაფარად და საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად.

თუმცა, პირდაპირი მეთოდი არ ხსნის ურთიერთკავშირს ფინანსურ შედეგსა და საწარმოს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების სიდიდის ცვლილებებს შორის. ამ მიზნით წარმოებს ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი არაპირდაპირი მეთოდით, რომლის არსი მდგომარეობს წმინდა მოგების სიდიდის გარდაქმნაში ფულადი საშუალებების სიდიდედ. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ყოველი საწარმოს საქმიანობაში არსებობს ცალკეული, არაიშვიათი, სიდიდით მნიშვნელოვანი შემოსავლებისა და ხარჯების სახეობები, რომლებიც ამცირებენ ან ზრდიან საწარმოს მოგებას, ისე რომ ეხებიან ფულადი საშუალებების სიდიდეს. ამიტომ ანალიზის პროცესში ახდენენ მოგების სიდიდის კორექტირებას ისე, რომ დანახარჯთა მუხლებმა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ფულადი საშუალებების გადინებასთან და შემოსავლის მუხლებმა, რომლებსაც თან არ ახლავს ფულადი საშუალებების შემოდინება გავლენა არ მოახდინონ წმინდა მოგების სიდიდეზე.

არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება საოპერაციო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადების გამოსაანგარიშებლად. ამ მიზნით ხდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული დაბეგვრამდელი წმინდა მოგების კორექტირება:

წმინდა მოგება უნდა დავაკორექტიროთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩართული არაფულადი მუხლებით. ამ მიზნით, წმინდა მოგებას უნდა დავუმატოთ არაფულადი ხარჯები (ცვეთის ხარჯი, ანარიცხები, ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან) და გამოვაკლოთ არაფულადი შემოსავლები (შემოსავალი უცხოურ ვალუტაში კურსთა შორის სხვაობიდან);

წმინდა მოგება დავაკორექტიროთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩართული იმ მუხლებით, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგების სხვა განაყოფებს განეკუთვნება (საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა). ამისათვის წმინდა მოგებას

უნდა გამოვაკლოთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების სხვა განაყოფებში შემავალი შემოსავლები (მაგ. ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი); წმინდა მოგება უნდა დავაკორექტიროთ საბრუნავ კაპიტალში მომხდარი ცვლილებებით. ეს ეხება:

- სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ზრდას, რომელიც აკლდება წმინდა მოგებას და შემცირებას, რომელიც ემატება წმინდა მოგებას;
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდას, რომელიც აკლდება წმინდა მოგებას და შემცირებას, რომელიც ემატება წმინდა მოგებას;
- მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების ზრდას, რომელიც ემატება წმინდა მოგებას და შემცირებას, რომელიც აკლდება წმინდა მოგებას.

ასეთი მაკორექტირებელი მოქმედების შედეგად დგინდება საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრების სიდიდე. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შედგენილ ანგარიშგებებში განსხვავება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ნაწილშია. დანარჩენი განაყოფები იდენტურია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზის ძირითადი მიზანია საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი თანხების შემოსავლის წყაროებისა და მათი გამოყენების მიმართულებების შეფასება.

შპს „ფერმა-მარკეტის“ ფულადი ნაკადების ანალიზისთვის წარმოვადგინოთ წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურის ამსახველი ცხრილი.

ცხრილი 2.4.1 შპს „ფერმა მარკეტის“ წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურა დინამიკაში.

	2015 წელი			2017			2018		
	ლარი	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ლარი	ხვ/წ (%)	ლარი	ლარი	ხვ/წ (%)
<b>ფულის საწყისი ნაშთი</b>	33,498.21		8	<b>434,249.42</b>		50	866,760.19		45
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		5,350,273.05	-1232	1,975,572.45		228	41109629.220		2129

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-11803344.4	-2718		-470034.07	-54		-37355464.870	-1934
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	17554369		4042		-1073027.61	-124		-2689890.97	-139
ფულის საბოლოო ნაშთი	434,249.42		100	866,760.19		100	1,931,033.57		100

როგორც 2.4.1 ცხრილიდან ირკვევა 2015 წელს კომპანიის წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან იყო უარყოფითი, ე.ი კომპანიას გააჩნდა ფულადი სახსრების დეფიციტი, რომელიც აღმოიფხვრა საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადით. ე.ი კომპანიამ აიღო სესხი აღნიშნული დეფიციტის შესავსებად, რაც შეეხება 2017-2018 წლებს კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები ფარავს საინვესტიციო საქმიანობისა და საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულადი სახსრების დეფიციტს ე.ი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი ფარავს ძირითადი საშუალებების შესყიდვას და ასევე უზრუნველყოფს აღებული სესხის გადასახდელების დაფარვას.

ფულადი საშუალებების საკმარისობის შეფასების წესი მდგომარეობს ბრუნვათა რიცხვისა და დღეებში ბრუნვის პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრაში. ამ მიზნით ანგარიშობენ ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვს:

$$K (\text{ფულადი საშ. ბრუნვის რიცხვი}) = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ფულადი საშ. საშუალო ნაშთი}}$$

ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით გაიანგარიშება ფორმულით:

$$D = \frac{\text{ფულადი საშ. საშუალო ნაშთი} * T}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

სადაც, T- საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობას ასახავს დღეებში

აგრეთვე შეისწავლება ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი

$$\text{ფულადი თანხების დამაგრების კოეფ.} = \frac{\text{ფულადი თანხები ანგარიშგებით}}{\text{წლიური შემოსავალი}}$$



აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთის რა რაოდენობა იყო საჭირო ყოველი 1 ლარის შემოსავლის მისაღებად.

განვიხილოთ შპს „ფერმა-მარკეტის“ ფულის ბრუნვის მაჩვენებლები.

ცხრილი 2.4.2 შპს „ფერმა-მარკეტის“ ფულის ბრუნვის კოეფიციენტები დინამიკაში

	2015	2017	2018
ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვი	3.03	41.4	31.22
ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით	120.48	8.82	11.69
ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი	0.45	0.03	0.04

დიაგრამა 2.4.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ ფულის ბრუნვის კოეფიციენტები დინამიკაში.



როგორც ვხედავთ, ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვი 2017 წელს გაზრდილია 2015 წელთან შედარებით, ხოლო 2018 წელს კი 2017 წელთან შედარებით შემცირებულია, შესაბამისად ჯერ მცირდება შემდეგ კი იზრდება ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით. ბრუნვის რიცხვის შემცირება და ბრუნვის ხანგრძლივობის ზრდა დღეებში უარყოფითი მოვლენაა. ამასთან დამაგრების კოეფიციენტის ზრდა მიუთითებს რომ 1 ლარის შემოსავლის მისაღებად უფრო მეტი

თანხის ავანსირებაა საჭირო. შესაბამისად 2018 წელს არასასურველი ტენდენცია იკვეთება.

## 2.5 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე საწარმოთა საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელია. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება საწარმოში ავანსირებული კაპიტალი. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარება ხელს უწყობს თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლებას, ხოლო მაშინ როცა ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა ნელდება საჭირო ხდება დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა, რაც ძაბავს საწარმოს გადახდისუნარიანობას. ამგვარად, ავანსირებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება აუმჯობესებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და ზრდის მის გადახდისუნარიანობის დონეს.

საქმიანობის პროცესში მეწარმე თავის ფულად სახსრებს აბანდებს გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებში. გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული სახსრების მეწარმესთან დაბრუნებას რამდენიმე წელი სჭირდება. ე.ი გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული სახსრები რამდენიმე წელიწადში ერთხელ შემობრუნდება უკან. მიმდინარე აქტივებში დაბანდებული სახსრები კი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემობრუნდება საწარმოში და კვლავ ავანსირდება. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას ძირითად საშუალებებს, ხოლო მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას საბრუნავ საშუალებებს უწოდებენ.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შიგა და გარე ფაქტორებზე. გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს საქმიანობის სფერო, დარგობრივი კუთვნილება, საწარმოს მასშტაბი, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პირობები. შიგა ფაქტორებს კი მიეკუთვნება: ფასთა პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, მარაგების შეფასების მეთოდიკა.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ხარისხი ბრუნვადობის მაჩვენებლების საფუძველზე შეისწავლება.

ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი არსებობს:

ბრუნვის რიცხვი ახასიათებს საბრუნავ საშუალებებში ავანსირებული ღირებულება წლის განმავლობაში რამდენჯერ შემობრუნდება.

წლიური შემოსავალი რეალიზაც.

$$\text{ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაც.}}{\text{მიმდ. აქტ. საშ. წლიური ნაშთ.}}$$

ბრუნვის პერიოდი დღეებში გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას.

მიმდინარე აქტ საშ.წლ. ნაშთი \* 365

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტ საშ.წლ. ნაშთი * 365}}{\text{წლ.შემოს. რეალიზაც.}}$$

დამაგრების ანუ დაყოვნების კოეფიციენტი კი ახასიათებს რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ერთ ლარის შემოსავლის მიღება.

მიმდ. აქტ. საშ. წლ. ნაშთი

$$\text{დამაგრების კოეფ.} = \frac{\text{მიმდ. აქტ. საშ. წლ. ნაშთი}}{\text{წლ. შემოს. რეალიზაციიდან}}$$

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის სიდიდესა და მის სიჩქარეზე, მიეკუთვნება: საწარმოს საქმიანობის მასშტაბი (მცირე, საშუალო, მსხვილი) და დარგობრივი კუთვნილება (ვაჭრობა,

მრეწველობა...), საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა (პროდუქციის წარმოების, სამუშაოების შესრულების, მომსახურების გაწევის ტექნოლოგიური ოპერაციების ხანგრძლივობა და მათი რაოდენობა), მოხმარებული რესურსების რაოდენობა და სახეები, მომხმარებლის და მომწოდებლის გეოგრაფიული მდებარეობა, ანგარიშსწორების სისტემა, კლიენტების გადახდისურანიანობა, საბანკო მომსახურების ხარისხი, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპები, პროდუქციის ფასში დამატებული ღირებულების ხვედრითი წონა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, მენეჯერების კვალიფიკაცია, ინფლაცია.

გარდა საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის ზოგადი მაჩვენებლებისა, ანალიზის პროცესში ითვლიან კერძო მაჩვენებლებსაც. გაანგარიშებისთვის საბრუნავი საშუალებების მთლიანი თანხის ნაცვლად იყენებენ მის ცალკეული შემადგენელ ელემენტებს, ამასთან ნაშთები ყველგან აიღება საშუალო წლიური სიდიდით, რაც საწყისი და საბოლოო ნაშთების ჯამის ნახევრის ტოლია.

ბრუნვალობის კერძო მაჩვენებლები გავლენას ახდენენ ბრუნვალობის ზოგად მაჩვენებელზე. ავანსირებული კაპიტალის კერძო მაჩვენებლები შემდეგნაირად გაიანგარიშება.

მიმდინარე აქტ საშ.წლ. ნაშთი \* 365

$$1. \text{ ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტ საშ.წლ. ნაშთი} * 365}{\text{წლ. შემოს. რეალიზაც.}}$$

მატერ. დანახარჯები

$$2. \text{ ნედლეულისა და მასალის ბრ.რიცხვი} = \frac{\text{მატერ. დანახარჯები}}{\text{მასალების საშ.წლ.ნაშთი}}$$

ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი გვიჩვენებს რამდენ დღეში გადავა მატერიალურ დანახარჯებში მასალებში ავანსირებული ღირებულება. ხოლო ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენჯერ გადავა ნედლეული და მასალა მატერიალურ დანახარჯებში.

დაუმთავრებელი წარმოების ბრ.პერ.= დაუმთ.წარმ.საშ.წლ ნაშთი \* 365

$$3. \text{ დაუმთავრებელი წარმოების ბრ.პერ.} = \frac{\text{დაუმთ.წარმ.საშ.წლ ნაშთი} * 365}{\text{მზა პრ. თვითღ.}}$$

$$4. \text{ დაუმთავრებელი წარმოების ბრ.რიცხვი} = \frac{\text{მზა პროდ. თვითღირებულება}}{\text{დაუმთ. წარმ. საშ. წლ. ნაშთი}}$$

დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება დაუმთავრებელ პროდუქციას მზა პროდუქტის შესაქმნელად, ხოლო ბრუნვის რიცხვი კი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენჯერ გადავა დაუმთავრებელი წარმოება მზა პროდუქციის მარაგებში.

$$5. \text{ მზა პროდუქციის ბრ.პერ} = \frac{\text{მზა პროდუქციის საშ.წლ ნაშთი*365}}{\text{რეალიზ.საქ.თვითღირ.}}$$

$$6. \text{ მზა პროდუქციის ბრ.რიცხვი} = \frac{\text{რეალიზ. საქ. თვითღირებულება}}{\text{რეალიზ.საქ.თვითღირებულება}}$$

მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი კი ასახავს მზა პროდუქტში ავანსირებული ღირებულება რამდენ დღეში მოიტანს ფულად შემოსავალს, ხოლო ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენჯერ გადაიქცევა მზა პროდუქტში ავანსირებული ღირებულება ფულად ფორმად.

რაც შეეხება, დამაგრების კოეფიციენტს იგი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{დამაგრების კოეფ.} = \frac{(\text{მასალის ნაშთ} + \text{დაუმთ.პრ. ნაშთ} + \text{მზა პრ. ნაშთი} + \text{დებიტ. დავ. ნაშთი})}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$


ამ კოეფიციენტის ზრდა მიუთითებს რომ იზრდება ბრუნვაში უძრავად მყოფი სახსრები და სუსტდება კომპანიის გადახდისუნარიანობა.


ცხრილი 2.5.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის მაჩვენებლების საბაზისო ინფორმაცია.

მაჩვენებლები	2015 წ	2017 წ	2018 წ
მიმდინარე აქტივების საშუალო ნაშთი (ლარი, ფულადი თანხების გარეშე)	191018.29	506311.24	823779.74
შემოსავალი რეალიზაციიდან (ლარი)	708510.98	26924977.27	43680238.07
საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი	4	53	53
საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი (დღე)	98	7	7

როგორც ვხედავთ, 2017-2018 წლებში 2015 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი და შემცირდა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი დღეებში. თვალსაჩინოებისთვის ავაგოთ დიაგრამა.

დიაგრამა 2.5.1 საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის მაჩვენებლები დინამიკაში.





როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდის შემცირება და ბრუნვის რიცხვის გაზრდა კომპანიისთვის დადებითი მოვლენაა. ავანსირებული ღირებულების დაჩქარების შედეგად ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლება, რომელიც კომპანიას შეუძლია გამოიყენოს სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

## 2.6 ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი

ლევერიჯი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. აღნიშნული მახასიათებელი ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში გამოჩნდა. ლევერიჯი ეწოდება საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციას, მოგების მაქსიმიზაციის მიზნით.

ლევერიჯი წარმოადგენს ფაქტორს, რომლის მცირე ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს შედეგობრივი მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ცვლილება.

ნებისმიერი ნასესხები სახსრების წილის ზრდა იწვევს ფინანსური ლევერიჯის დონის ზრდას. შესაბამისად ფინანსური ლევერიჯი ფინანსური რისკის მაჩვენებელია.

განასხვავებენ ორი სახის ლევერიჯს:

1. ფინანსური ლევერიჯი;
2. ოპერაციული ლევერიჯი.

ფინანსური ლევერიჯი - ეს არის ურთიერთკავშირი მოგებასა და საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას შორის. იგი გვიჩვენებს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ზომავს კომპანიის ფინანსურ რისკებს. ის ზომავს კომპანიის ვალის ოდენობას საკუთარ კაპიტალთან შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს შეუძლია თუ არა ბიზნესს იყოს მომგებიანი.

ფინანსური ლევერიჯი შესაძლებელია გაანგარიშებული იქნას შემდეგი ფორმულებით:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}};$$

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\% \text{ და გად. გადახდამდე მოგების } \% \text{-ული ცვლილება}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}}.$$

რაც უფრო მეტი იქნება აქტივები საკუთარ კაპიტალზე, მით უფრო მაღალი იქნება ნასესხები კაპიტალის წილი და შესაბამისად ფინანსური რისკი იზრდება. ამგვარად, მის ზრდას თან ახლავს ფინანსური რისკის ხარისხის ამაღლებაც, რაც შეიძლება გამოიხატოს გრძელვადიან სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის გადასახდელად საშუალებების უკმარისობით. ინვესტირებული კაპიტალის მთლიანი მოგებისა და რენტაბელობის

უმნიშვნელოდ შეცვლამ, მაღალი ფინანსური ლევერიჯის პირობებში შეიძლება მოგების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს.

თუ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ის ტოლია საწარმო თავის საქმიანობას აფინანსებს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, მაშინ რისკი არ არსებობს. რაც უფრო მეტია მისი მნიშვნელობა 1-ზე, მით უფრო მაღალია ფინანსური რისკის ხარისხი. საწარმოში, რომელიც, მთლიანად საკუთარი სახსრებითაა დაფინანსებული ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია, ამ შემთხვევაში ფინანსური რისკი არ არსებობს, ხოლო წმინდა მოგების ცვლილებას მთლიანად იწვევს რეალიზაციის მოცულობის ცვლილება. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევაში მაღალი ლევერიჯის მქონე კომპანიების აქციების შეძენა უფრო ხელსაყრელია, რადგან მათი შემოსავლები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე დაბალი ლევერიჯის მქონე კომპანიებში.


წარმოვადგინოთ შპს „ფერმა მარკეტის“ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი დინამიკაში

ცხრილი 2.6.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ ლევერიჯის კოეფიციენტები.

მაჩვენებლები:	2015 წ	2017 წ	2018 წ
ფინანსური ლევერიჯი	1.46	1.49	7.51

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგინოთ შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი დინამიკაში დიაგრამის სახით

დიაგრამა 2.6.1 შპს „ფერმა-მარკეტის“ ლევერიჯის კოეფიციენტები.



როგორც ვხედავთ, კომპანიის გადაწყვეტილებამ 2018 წელს შეემცირებინა საწედბო კაპიტალი და მოეხდინა ვალის აღიარება, გამოიწვია ლევერიჯის ზრდა. გაიზარდა როგორც ფინანსური ასევე კაპიტალის ლევერიჯი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გაიზარდა კომპანიის ფინანსური რისკის ხარისხი.

ოპერაციული ლევერიჯი კი ასახავს მოცემული საწარმოს დანახარჯების სტრუქტურას, მუდმივ და ცვლად ხარჯებზე დაყრდნობის საფუძველზე. ცვლადი ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის პროპორციულად იცვლება, ხოლო მუდმივი ხარჯები კი პირიქით - პროდუქციის რაოდენობის ცვლილების შედეგად არ იცვლება. ითვლება, რომ ფირმები, რომლებსაც მაღალი მუდმივი დანახარჯები აქვთ, მაღალ ოპერაციულ ლევერიჯს ფლობენ.

ოპერაციული ლევერიჯი ქვემოთ მოცემული რომელიმე ალტერნატიული კოეფიციენტით შეიძლება გამოითვალოს:

$$1. \text{ ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{ცვლადი ხარჯები}};$$

$$2. \text{ ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\% \text{ და გად. გადახდამდე მოგების } \% \text{-ული ცვლილება}}{\text{რეალიზაციის } \% \text{-ული ცვლილება}}$$

ოპერაციული ლევერიჯი - ეს არის საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციური შესაძლებლობა პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და მისი გამოშვების მოცულობის ცვლილების საფუძველზე.

ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი გვიჩვენებს მთლიანი მოგების მგრძობელობას წარმოების მოცულობის ცვლილებისადმი. მისი მაღალი დონის პირობებში პროდუქციის წარმოების უმნიშვნელო დაცემა ან გადიდება არსებით გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე.

შპს „ფერმა-მარკეტის“ მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს ოპერაციული ლევერიჯი 1.78-ის ტოლია. კოეფიციენტი არც ისე მაღალია რაც გულისხმობს იმას, რომ გაყიდვების მოცულობის უმნიშვნელო შემცირება მოგებასაც უმნიშვნელოვნად შეამცირებს.

დაბოლოს, კომბინირებული ლევერიჯი წამოადგენს განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც ოპერაციული და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლია. ის გამოხატავს საერთო რისკს, რაც დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო უკმარისობასთან საწარმოო და ფინანსური ხარჯების დასაფარავად. ამასთან, კომბინირებული ლევერიჯი შესაძლოა გამოითვალოს შემდეგი ფორმულითაც

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{\text{წმინდა მოგების } \% \text{-ული ცვლილება}}{\text{რეალიზაციის } \% \text{-ული ცვლილება}}$$

შპს „ფერმა-მარკეტის“ შემთხვევაში კომბინირებული ლევერიჯი 2018 წლისთვის 13,37 -ის ტოლია, შესაბამისად საერთო რისკი მაღალია, რაც განპირობებულია ძირითადად მაღალი ფინანსური ლევერიჯით. ამიტომ რეკომენდირებულია შეამციროს კომპანიამ მოზიდული სახსრები, იმისათვის, რომ შემცირდეს ფინანსური ლევერიჯი და მასთან ერთად შემცირდეს ფინანსური რისკისა და საერთო რისკის ხარისხიც.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია რომ კომპანიების მენეჯმენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კომბინირებული ლევერიჯის შესწავლასა და გამოყენებას, რადგან სხვაობა საკუთარი კაპიტალისა და ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობას შორის წარმოიქმნება ფინანსური ბერკეტის საფუძველზე. ამგვარად, ფინანსური ლევერიჯი არის ის ობიექტური ფაქტორი, რომელიც წარმოიქმნება ბალანსის პასივში სასესხო სახსრების გამოჩენასთან ერთად და რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დამატებითი მოგება საკუთარ კაპიტალზე. ასეთი სიტუაცია კი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივების რენტაბელობა მეტია საბანკო საბანკო პროცენტის საშუალო განაკვეთზე.

## დასკვნა

ამგვარად, როგორც ნაშრომიდანაც ჩანს, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია, რომლის მომზადებას და წარდგენას განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნები, არის ის საინფორმაციო ბაზა, რომლის საფუძველზეც წარმოებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. სწორედ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე ხდება საწარმოს წარსული და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასება და მომავალ სტაბილურობაზე პროგნოზის გაკეთება.

როგორც ვხედავთ, ფინანსური ანალიზი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტს, მის საფუძველზე ხდება კომპანიის განვითარების დაგეგმვა და საწარმოს მენეჯმენტს ეხმარება ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებაში.

რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და ანალიზს, ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების ცვლილების ტემპები, გააჩნია თუ არა საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრები, პასივებში რა წილი უჭირავს ვალდებულებებს ბიუჯეტთან, თანამშრომლებთან და ბანკებთან. ფინანსების ისეთი მდგომარეობა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მის გადახდისუნარიანობას მიუთითებს საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე. საწარმოს გადახდისუნარიანობა კი ფასდება ლიკვიდურობის კოეფიციენტებით, რომლებიც ასევე ბალანსის საფუძველზე გამოითვლება. საწარმოს ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროსა და გამოყენებას მთელი წლის პერიოდის განმავლობაში ასახავს ფულადი ნაკადების ანგარიშგება. ბიზნესთან დაკავშირებულ რისკებს კი გვიჩვენებს ლევერიჯის კოეფიციენტები.

პრაქტიკული მაგალითი თვალსაჩინოს ხდის კომპანიის ანგარიშგებათა ურთიერთკავშირს. იგი გვეხმარება გავიაზროთ რა პრაქტიკული გამოყენება აქვს ამა თუ იმ კოეფიციენტის გამოთვლას და რა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა კომპანიის რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი კოეფიციენტების

ანალიზი. თითოეული კომპანია ანალიზს უნდა ატარებდეს პერიოდულად და მასზე დაყრდნობით იღებდეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება შპს „ფერმა-მარკეტს“ როგორც მისი ბალანსის ანალიზიდან ვნახეთ, კომპანიას გააჩნია დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსი, დაკმაყოფილებულია ექვსი ძირითადი მოთხოვნა, ამასთან საწარმოს ქონების განლაგების ამსახველი ტოლობები მიღწეულია რაც გულისხმობს იმას, კომპანიის ქონება სწორად არის განლაგებული, რაც შეეხება ბალანსის სტრუქტურას, აქტივებში 2015 წელთან შედარებით 2018 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხვედრითი წილი და შეადგენს 40.64%-ს, ასევე გაზრდილი ანგარიშებზე არსებული თანხები და 14.41%-ია, რაც მეტყველებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მენეჯმენტის გადაწყვეტილებამ, მოეხდინა საწესდებო კაპიტალის შემცირება და ელიარებინა გრძელვადიანი სესხი, გამოიწვია პასივების სტრუქტურის მნიშვნელოვნად შეცვლა. 2018 წელს შემცირდა საწესდებო კაპიტალის ხვედრითი წილი 1.77%-მდე მაშინ როცა 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 75.19%-ს შეადგენდა. ამასთან, გაიზარდა გრძელვადიანი სესხის ხვედრითი წილი 20.71%-დან 48.63%-მდე.

შპს „ფერმა-მარკეტის“ ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2018 წელს საბაზო 2015 წელთან შედარებით, როგორც მოსალოდნელი იყო გაიზარდა ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 1.46-დან 7.51-მდე, ასევე გაიზარდა მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 0,31-დან 0.87-მდე, შემცირდა მატერიალური მარაგების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 1.62-დან 0.28-მდე. საბოლოო ჯამში კომპანიის მენეჯმენტის მიერ მიღებულმა ზემოთხსენებულმა გადაწყვეტილებამ კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლები გააუარესა.

რაც შეეხება, მოცემული კომპანიის ფინანსური სტაბილურობის დახასიათებას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, როგორც ვნახეთ, შპს „ფერმა-მარკეტის“ აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა შეიცვალა, თუმცა შენარჩუნდა „ნორმალური“ ფინანსური სტაბილურობა.

ამასთან, ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსის გამოთვლამ გვიჩვენა, რომ მოცემულ კომპანიის ინდექსი შეადგენს 3,738-ს ალმატება ზღვარს 2,675-ს და შესაბამისად უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში გაკოტრება არ ემუქრება.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ლიკვიდურობის ანალიზმა გვიჩვენა, კომპანიის ლიკვიდურობა საფრთხეშია, რადგან ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2018 წელს 2017 წელთან შედარებით მცირდება, რაც უარყოფითი მოვლენაა და საჭიროებს მენეჯმენტის მხრიდან ღონისძიებების გატარებას. აქტივების მომგებიანობას რაც შეეხება, აქტივების მომგებიანობა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გაზრდილია 0,0577 -ით რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს კომპანიისთვის.

რაც შეეხება ფულადი საშუალებების მოძრაობას, ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული უარყოფითი ფულადი ნაკადებისა, კომპანიის ოპერაციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები აკომპენსირებს სხვაობას და ამავედროულად კომპანიის ფულადი საშუალებების ნაშთი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრუნვის რიცხვი 2018 წელს შემცირებულია 2017 წელთან შედარებით 41-დან 31-მდე, ხოლო ბრუნვის პერიოდი გაზრდილი 8-დან 11-მდე, რაც უარყოფითი მოვლენაა.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებლების ანალიზით კი როგორც ვნახეთ, 2017-2018 წლებში 2015 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი, რომელიც იყო 4-ის ტოლი და გახდა 53, ამასთან შემცირდა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი დღეებში 98-დან 7-მდე.

დაბოლოს, შპს „ფერმა-მარკეტის“ ლევერიჯის კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო მენეჯმენტის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ლევერიჯის კოეფიციენტები გაზრდილია 2018 წელს საბაზისო 2015 წელთან შედარებით, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი გაიზარდა 1.46-დან 7.51-მდე, რაც გულისხმობს იმას რომ გაზრდილია კომპანიის ფინანსური რისკი, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი უფრო მაღალია ვიდრე ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი და შესაბამისად კომბინირებული

ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდაც 13,37-მდე ძირითადად ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდით არის განპირობებული.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ კომპანია სწორად ვითარდება, თუმცა გარკვეული საკითხები საჭიროებს მენეჯმენტის ყურადღებას.

ამრიგად, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ტარდება კომპლექსურად, სხვადასხვა მაჩვენებლებისა და ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს საწარმოს საქმიანობას სრულად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ბასს 1) - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 (ბასს 7)- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
3. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
4. ჯიქია მ. „ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
5. ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2011;
6. ჭილაძე ი. „მმართველობითი აღრიცხვა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
7. ACCA წიგნი F2, მმართველობითი აღრიცხვა, BPP Learning Media Ltd, 2010;
8. ხარაბაძე ე., „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2012;
9. ხარაბაძე ე., „ბუღალტრული აღრიცხვა“, თბილისი 2009;
10. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., „ბუღალტრული აღრიცხვა“ გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014;
11. ხარაბაძე ე., „ფინანსური აღრიცხვა“, თბილისი 2009წ;
12. ხარაიშვილი ე, ერქომაიშვილი გ, „ფორმის ეკონომიკა“ გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი 2011;
13. გაგნიძე ი „ კეთილდღეობის ეკონომიკა“ თბილისი 2015;
14. მენქიუ გ., „ეკონომიკის პრინციპები“, გამომცემლობა „დიოგენე“(მეორე ქართული გამოცემა) თბილისი, 2008
15. ვან ჰორნი, „ფინანსური მენეჯმენტი“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2008;
16. [www.accountinginfo.com](http://www.accountinginfo.com) ;
17. <http://www.businessdictionary.com> ;
18. [http://www accountingexplained.com](http://www.accountingexplained.com) ;

19. <http://www.accountingtools.com> ;
20. <https://www.businesshub.ge>;
21. <http://www.nplg.gov.ge>;
22. <https://www.wikipedia.org/>;
23. <https://www.investopedia.com/>;
24. <https://study.com>;
25. <http://www.accountingcoach.com> ;
26. <http://www.answers.com> ;
27. <http://www.bing.com>.